სამშობლო

უცხოეთში მცხოვრებ თანამემამულეებთან კულტურული კავშირის საქართველოს საზოგადოების გამოცემა

№ 8 (240) გამოცემის მე-14 წელი • 1970 წლის 24 აპრილი


საქართველოო ლამაზო

„სხვა საქართველო სად არი?“
გრიგოლ ორბელიანი

ქარი გიმღერის ნანასა,
ზღაპარს გიამბობს ჭადარი...
ძეწნამ ალერსით ამავსო
ეჭვებით ნაავადარი...
საქართველოო ლამაზო,
„სხვა საქართველო სად არი?“
ცა ვარსკვლავებით ინთება,
ცა — არცა რისი ხადარი...
მთვარე რომ ამობრწყინდება,
გული გაფრენად მზად არი...
დიდება, შენი დიდება,
„სხვა საქართველო სად არი?“
მინდვრები, ქართლის მინდვრები,
ძეძები მხარგაშლილები...
მთაში ტყე დანაგინდები,
ტყეში ქორბუდა ირმები.
ბარად შრიალებს ჭადარი,
მზეს უმღერიან ჩიტები,
მხარევ, მოსილო დიდებით,
„სხვა საქართველო სად არი?“
ლურჯი ბალახი მხარამდი,
მწყერი გოგმანობს ბალახში...
თეთნულდზე — თოვლი მარადი,
ვენახზე — მზე და ბადახში...
სხვა საქართველო ვინ ნახა?
„სხვა საქართველო სად არი?“
როს ვარსკვლავები ხმაურით
აინთებიან ცათანი,
კლდეს მოაწყდება ზღვაური
მეშვიდე ცაზე ატანილს...
კლდეებში ჯიხვი დაფრთხება,
გორში იტირებს ატამი,
ყაყაჩოს გვერდს ვერ აუვლი,
„სხვა საქართველო სად არი?“
აქ დაიბადა „სულიკო“,
მზისკენ გაფრინდა „მერანი“...
და თუნდაც გადმოსულიყო
მტერი შმაგი და ვერანი,
მარჯვენს მოსჭრიდა ალუდა,
სით გაუშვებდა ლელაი?
აქ დაიბადა „სულიკო“
მზისკენ გაფრინდა „მერანი“.
მთათ ორბის ფრთები მოისხეს,
ცაში ასულა ძერაი,
დაბლა შრიალებს მოლისებრ
ყანაი გაუყელავი,
ფიქრს დაუღლია ონისე,
ბახტრიონს მიდის ლელაი...
მთათ ორბის ფრთები მოისხეს,
ცაში ასულა ძერაი...
ქარი გიმღერის ნანასა,
ზღაპარს გიამბობს ჭადარი...
ძეწნამ ალერსით ამავსო
ეჭვებით ნაავადარი...
საქართველოო ლამაზო,
„სხვა საქართველო სად არი?“

ანა კალანდაძე





სურათებზე: „გაზაფხული“, სასტუმრო „საქართველო“ ლამით, კურორტი გაგრა.

შოთა ჩხეტიანისა და არსენ ჩარკვიანის ფოტო.

„სამშობლო“ ფოტო — 70



დღეს ნომერში:

● ლენინური პრემიების ქართველ ლაურეატთა სიას ახალი გვარები შეემატა — თინა ასათიანი, გიორგი ჩიქოვანი, ვლადიმერ როინიშვილი, სიმონ ვირსალაძე. მათ შესახებ წაიკითხავთ ჩვენი გაზეთის მე-2 გვერდზე.

● მე-3 გვერდი დათმობილი აქვს ინფორმაციებს ხელოვნების, ლიტერატურის, მუსიკის საკითხებზე. აქედან ვიგებთ, რომ რუსთაველის სახელობის სახელმწიფო თეატრი გასტროლებზე მიემგზავრება გერმანიის დემოკრატიულ რესპუბლიკასა და პოლონეთში.

● ახალ, აღორძინებულ ოქრომჭედლობას საქართველოში სულ ოციოდე წლის წინათ ჩაეყარა საფუძველი, მაგრამ ამ მოკლე ხანში ისე მძლავრად გაიდგა ფესვი, რომ დღეს იგი ქართული ხელოვნების ერთ-ერთ წამყვან სახეობად ითვლება.

ახალგაზრდა ჟურნალისტი ქალის ნანა ღვინეფაძის წერილი მოგვითხრობს ამ ხელოვნების თვალსაჩინო წარმომადგენლის კობა გურულის შემოქმედებაზე (იხილეთ მე-4 გვერდი).

● მცხეთის ჯვარი! — ქართული ხუროთმოძღვრების მშვენება. დღეს პროფესორი ვახტანგ ბერიძე გვესაუბრება ამ უნიკალური ტაძრის ისტორიისა და არქიტექტურულ ღირსებათა შესახებ (იხილეთ მე-5 გვერდი).

● მე-6 გვერდზე ვაქვეყნებთ აკაკი გელოვანის ლექსს — „ქართული ენა“, რომელიც ავტორმა სპეციალურად ჩვენი გაზეთისათვის დაწერა. აქვეა წერილი ახალგაზრდა ქართველი მეცნიერის, ანტარქტიდის მკვლევარის თემურ გრიგოლაშვილის შესახებ.



ასე ვიზეიმეთ

ამ დღეებში ყველა ადამიანის ფიქრები, ვისთვისაც ძვირფასია მშვიდობა, თავისუფლება, პროგრესი, მიმართული იყო ჩვენი რევოლუციური ეპოქის უკვდავი გენიის — ვლადიმერ ილიას ძე ლენინისადმი. ზეიმი, რომელიც საბჭოთა ხალხმა ბელადის დაბადების 100 წლისთავის აღსანიშნავად გადაიხადა, მართლაც რომ გრანდიოზული იყო, სწორედ ისეთი, დიდი ბელადის ნათელ ხსოვნას რომ ეკადრება.

ზეიმის პირველი აკორდი ილიჩის სამშობლო ულიანოვსკში გაისმა. ქალაქში, სადაც ყველაფერი ვლადიმერ ილიას ძე ლენინს გვაგონებს, გაიხსნა მემორიალური კომპლექსი. 21 აპრილს კი კრემლის ყრილობათა სასახლეში გაიხსნა სკკპ ცენტრალური კომიტეტის, სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოსა და რუსეთის სფსრ უმაღლესი საბჭოს გაერთიანებული საზეიმო სხდომა.

დარბაზში შეიკრიბნენ სკკპ ცენტრალური კომიტეტის წევრები და წევრობის კანდიდატები, საბჭოთა კავშირის უმაღლესი საბჭოს დეპუტატები, პარტიის ვეტერანები, მოსკოვისა და მოსკოვის ოლქის საზოგადოებრიობისა და მშრომელთა წარმომადგენლები, საბჭოთა არმიისა და სამხედრო-საზღვაო ფლოტის მეომრები. მეცნიერების, ლიტერატურისა და ხელოვნების მოღვაწეები, ბევრი სახელგანთქმული სტუმარი.

საზეიმო სხდომა შესავალი სიტყვით გახსნა საბჭოთა კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარემ ნიკოლოზ პოდგორნიმ. მოხსენებით — „ლენინის საქმე ცოცხლობს და იმარჯვებს“ — გამოვიდა საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის გენერალური მდივანი ლეონიდ ბრეჟნევი.

საზეიმო სხდომა ორ დღეს გაგრძელდა. სიტყვებით გამოვიდნენ საერთაშორისო კომუნისტური და მუშათა მოძრაობის თვალსაჩინო ხელმძღვანელები და წარმომადგენლები — ვლადისლავ გომულკა, ჟაკ დიუკლო, ლე ზუანი, გუსტავ ჰუსაკი, იანოშ კადარი, ტოდორ ჟივკოვი, ვალტერ ულბრიხტი, ხო სუან სონი, ოსვალდო დოსტაკოს ტორადო, გეს ჰოლი და სხვები.

საზეიმო სხდომის დასასრულს სიტყვა წარმოთქვა სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარემ ალექსანდრე კოსიგინმა.

ნათელი და დიდი დღესასწაული საქართველოს მიწა-წყალზე ღირსეულად აღინიშნა. ლენინის დაბადების 100 წლისთავს მიეძღვნა საქართველოს კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტისა და საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს საზეიმო სხდომა, რომელიც თბილისში 16 აპრილს გაიმართა. მოხსენება — „ვლადიმერ ილიას ძე ლენინის დაბადების 100 წლისთავი“ წაიკითხა სკკპ ცენტრალური კომიტეტის პოლიტბიუროს წევრობის კანდიდატმა, საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის პირველმა მდივანმა ვასილ მჟავანაძემ.

სიტყვით გამოვიდნენ სკკპ წევრი 1917 წლიდან დავით ლომაძე, სოციალისტური შრომის გმირი, გურჯაანის რაიონის სოფელ ველისციხის კოლმეურნეობის თავმჯდომარე დიმიტრი მამისაშვილი, ივანე ჯავახიშვილის სახელობის ისტორიის, არქეოლოგიისა და ეთნოგრაფიის ინსტიტუტის უფროსი მეცნიერ თანამშრომელი, ისტორიულ მეცნიერებათა დოქტორი, პროფესორი მარიკა ლორთქიფანიძე და სხვები.

ლენინის დაბადების 100 წლისთავისადმი მიძღვნილი ზეიმი გაიმართა ქუთაისში, სოხუმში, ბათუმში, ცხინვალში, რუსთავში...

რაულ კასტრო რუსი საქართველოში

საქართველოში სტუმრად იმყოფებოდა კუბის კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის მეორე მდივანი, კუბის რესპუბლიკის რევოლუციური მთავრობის პრემიერ-მინისტრის პირველი მოადგილე, კუბის რევოლუციური შეიარაღებული ძალების მინისტრი მაიორი რაულ კასტრო რუსი.

საპატიო სტუმარი ეწვია თბილისის 26 კომისრის სახელობის წითელდროშოვან უმაღლეს საარტილერიო სასწავლებელს, ლენინის სახელობის ელმავალსაშენებელ ქარხანას, საქართველოს ხელოვნების სახელმწიფო მუზეუმს, ვარკეთილის მევენახეობის საბჭოთა მეურნეობას, გაეცნო ჩვენი რესპუბლიკის ღირსშესანიშნაობებს.

15 აპრილს რაულ კასტრო რუსი მიიღო საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის პოლიტბიუროს წევრობის კანდიდატმა, საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის პირველმა მდივანმა ვასილ მჟავანაძემ.

საქართველოსა და აზერბაიჯანში 4 დღის დარბაზობის შემდეგ რაულ კასტრო რუსი და მისი თანმხლები პირები ვოლგოგრადს გაემგზავრნენ.

ლენინური პრემია — ლენინის დღეებში









ლენინის დღეებში ცნობილი გახდა მეცნიერებისა და ტექნიკის, ლიტერატურის, ხელოვნებისა და არქიტექტურის დარგების 1970 წლის ლენინური პრემიის ლაურეატთა სახელები. მათ შორის არიან ჩვენი თანამემამულენიც. მეცნიერებისა და ტექნიკის დარგში — საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის ფიზიკის ინსტიტუტის თანამშრომლები, ფიზიკა-მათემატიკის მეცნიერებათა დოქტორი გიორგი ჩიქოვანი, ფიზიკა-მათემატიკის მეცნიერებათა კანდიდატი ვლადიმერ როინიშვილი, ერევნის ფიზიკის ინსტიტუტის ლაბორატორიის გამგე, ფიზიკა-მათემატიკურ მეცნიერებათა კანდიდატი თინა ასათიანი; თეატრალური ხელოვნების დარგში — საქართველოსა და რუსეთის სახალხო მხატვარი სიმონ (სოლიკო) ვირსალაძე.

ქართველ მეცნიერებს უმაღლესი პრემია მიენიჭათ ტრეკული ნაპერწკლოვანი საკნების შექმნისათვის, ხოლო სოლიკო ვირსალაძეს — საბალეტო სპექტაკლ „სპარტაკის“ მხატვრობისათვის საბჭოთა კავშირის სახელმწიფო აკადემიურ დიდ თეატრში.

გაზეთი „სამშობლო“ გულწრფელად ულოცავს თინა ასათიანს, ვლადიმერ როინიშვილსა და სიმონ ვირსალაძეს ქვეყნის უდიდეს ჯილდოს. ამასთან გულისტკივილით აღნიშნავს, რომ გიორგი ჩიქოვანი, დიდი ქართველი მეცნიერი, სრულიად ახალგაზრდა, უდროოდ გარდაიცვალა და დღეს მისი მეგობრები, თანამშრომლები, ახლობლები უიმისოდ აღნიშნავენ ამ საზეიმო მოვლენას.

ს ურ ა თ ე ბ ზე: ზევიდან — თინა ასათიანი, გიორგი ჩიქოვანი, ვლადიმერ როინიშვილი, სიმონ ვირსალაძე.

წინასწარი შედეგები

„სამშობლოს“ მკითხველებს ალბათ ახსოვთ: სამოდე თვის წინათ, კერძოდ 1970 წლის იანვარში, ჩვენს ქვეყანაში მოეწყო მოსახლეობის სრულიად საკავშირო აღწერა. ამ დღეებში პრესაში გამოქვეყნდა ამ აღწერის წინასწარი შედეგები.

გთავაზობთ ზოგიერთ მონაცემს:

აღწერის მიხედვით, სსრ კავშირის მოსახლეობის რაოდენობა 1970 წლის 15 იანვრისათვის შეადგენდა 241 მილიონ 748 ათას კაცს.

1959 წლის აღწერის შემდეგ განვლილი 11 წლის მანძილზე დაიბადა 51, 5 მილიონი კაცი, გარდაიცვალა 18,6 მილიონი, საბჭოთა კავშირის მოსახლეობა ამ პერიოდში გაიზარდა 32,9 მილიონი კაცით, ანუ 15,8 პროცენტით.

ჩვენი ქვეყნის მოსახლეობის დიდ ნაწილს — ოთხ მეხუთედზე მეტს — შეადგენენ ოქტომბრის რევოლუციის შემდეგ დაბადებულნი.

სსრ კავშირის ქალაქების მოსახლეობის რაოდენობა, რომელიც 1959 წლის აღწერის დროს შეადგენდა 100 მილიონს, გაიზარდა 136 მილიონამდე, ხოლო სოფლის მოსახლეობის რაოდენობა შემცირდა 108,8 მილიონიდან 105,7 მილიონამდე.

ქალაქის მოსახლეობის ასეთი ზრდის მიზეზია ის, რომ ბუნებრივმა მატებამ ქალაქებში თერთმეტი წლის განმავლობაში შეადგინა 14,6 მილიონი, ხოლო სოფლის პუნქტები 5 მილიონი მოსახლეობით გარდაიქმნა ქალაქის პუნქტებად და სოფლიდან ქალაქში გადასახლდა 16 მილიონზე მეტი მცხოვრები ოჯახებითურთ. სოფლის მოსახლეობის გადასვლა ქალაქში დაკავშირებულია სამრეწველო წარმოების საგრძნობ ზრდასთან.

აღწერის დროს ჩვენს ქვეყანაში რეგისტრირებულია 111,3 მილიონი მამაკაცი და 130,4 მილიონი ქალი.

ასეთი თანაფარდობა მამაკაცებისა და ქალების რაოდენობაში შეიქმნა უფროსი ასაკის ხარჯზე და უმთავრესად გამოწვეულია ომის შედეგებით.

ამჟამად საბჭოთა კავშირის 10 ქალაქში მილიონზე მეტი მოსახლე ცხოვრობს. ესენია: მოსკოვი (7.061 ათასი კაცი), ლენინგრადი (3.950 ათასი), კიევი (1.032 ათასი კაცი), ტაშკენტი (1.685 ათასი), ბაქო (1.261 ათასი), ხარკოვი (1.223 ათასი), გორკი (1. 170 ათასი), ნოვოსიბირსკი (1.161 ათასი), კუიბიშევი (1.047 ათასი) და სვერდლოვსკი (1.026 ათასი).

საქართველოს დედაქალაქ თბილისში 1970 წლის 15 იანვრისათვის ცხოვრობდა 889 ათასი კაცი. მოსახლეობის რაოდენობით იგი კავშირში მეცამეტე ქალაქია. უკანასკნელი 11 წლის მანძილზე თბილისი 186 ათასი კაცით, ანუ 27 პროცენტით გაიზარდა.

ამავე პერიოდში **საქართველოს მოსახლეობის მთლიანი რაოდენობა 644 ათასით გადიდდა და 1970 წლის 15 იანვრისათვის 4 მილიონ 688 ათასი კაცი შეადგინა.**

პატარძეული, პატარძეული...

გაზაფხულის მოწკრიალე დღეებია

მწვანედ აბობინებულა ვერცხლუღა ივრის ნაპირები.

აპრილია და ატმებს ვარდისფერი ყვავილას თოვლი ადევს.

ასეთი გაზაფხული უყვარდა პატარძეულელ მგოსანს, სიტყვის სწორუპოვარ ოსტატს, სახალხო პოეტს, სიყვარულით ყმაწვილობისდროინდელი სახელით — გოგლად რომ იხსენიებენ დღესაც.

„ო, როგორ მიყვარს მუხლადი, ბედაური, მაძღარი სიტკბოთ“, უთქვამს მგოსანს და არასოდეს უღალატია თავისი სიყვარულისათვის. პატარძეულის გაზაფხულზეც მისი უბადლო ენით ვილაპარაკებ:

„რა ტკბილი იყო შუქქელვარა დილა პატარძეულში: ოქროვანი ხმით მოწკრიალე გაზაფხულის დღეები... ივრის თვალსამთხრი ნაპირები— ალაგ ქვიშრობში ჩამონაკური ფშვებით, სველი ღვინჭრობებით, ხასხასა მდელოთი...

და ისევ... დაყანებული, ყვავილოვანი მინდვრები... ტყეების ბურვილი თავგუმბათი... ნუშის, ატმის და ვაშლის, ტყემლის გამოფეთქილი ნამქერი, — ბუნების მადლიანი შეუშრომელი სილამაზე!

ისევ ივრის ლაქვარდული ჩაღიმილება, მისი სადაფური აელვარება, ქვიშაზე და კენჭებზე გადამავალი ტბორი ფშაწყაროსი, უწმინდესი, კამკამა ჭავლებით“...

დღეს კი... დღეს აღარ არის გოგლა ლეონიძე, „მაგრამ ისევ იცინის დილა პატარძეულში, ისევ იპენტრებიან ნუშის, ატმის, ვაშლის, მსხლისა და ტყემლის ყვავილები!“

ახლა პატარძეულში ცხოვრობენ გოგლას მეგობრები, მეზობლები — ჩითისკაბიანების, თავშალიანების, ფარაჯიანების, ტყაპუჭიანების, ქალამნიანების შთამომავალნი.

მათთვის გოგლას სახელი ძვირფასია და წიგნები ხელიდან ხელში საგოგმანები.

სხვა რაღა უნდა ადამიანის უკვდავებას!

სოფელი დიდია, მხრებგაშლილი და ღონიერი. ხალხი გამრჯე და მუყაითი. შრომობენ პატარძეულელები მინდვრებსა და ვენახებში. მოჰყავთ პური და უვლიან რქაწითელს.

როცა ოჯახში არის პური და ღვინო, იტყვიან ხოლმე — სახლი დოვლათით არის საესეო.

ეს აუცილებელი და კიდევ სხვა მრავალი სიკეთე დღეს ყველა პატარძეულელის ოჯახში უხვად არის.

გაზაფხულის მოწკრიალე დღეებია. თითო ისეთი, ერთ წელიწადს თამამად რომ გამოკვებავს.

ეშურებიან გლეხები.

უკვე დათესიათ შვრია და მზესუმზირა, ახლა ოქროსფერ სიმინდს აბარებენ ხნულს. მწვანედ ხასხასებს ჯეჯილი.

მევენახეობის ბრიგადები „გრძელაში“ და „პაპეში“ უვლიან ზვრებს.

რიგითაშორისები ადრე შემოდგომით მოუხნავთ. უკვე ძირებშიც გამოუბარეს ვაზებს.

მთელი ზაფხული და შემოდგომა ვენახებიდან არ გამოვლენ პატარძეულელები. ვაზს ხომ ძალიან სათუთი მოპყრობა სჭირდება, მზრუნველი და ერთგული მარჯვენა, რომ ბარაქიანმა ქართველი კაცის გული გაახაროს.

პატარძეული რომ დიდი და მხრებგაშლილი სოფელია, ამაში ვაშსაც აქვს ამაგი.

ავ თვალს არ ენახვება ორსართულიანი საცხოვრებელი სახლები.

მოასფალტებული ქუჩები და საუბნო გზები.

ღამით ნეონის ნათურები ჩახჩახებს.

სულ ახლახან პატარძეულელებმა ააშენეს ადმინისტრაციული სახლი, მაღაზიები, აბანო, ამთიაქი, საყოფაცხოვრებო მომსახურების სალონები.

სკოლას დაუმატეს საკლასო ოთახები, სასწავლო კაბინეტ-ლაბორატორიები, სპორტდარბაზი.

გოგლას სოფელი ამ სათაყვანებელი ქართველის სახელივით დღეგრძელია.

მ ი ნ ა წ ე რ ი:

ამ დღეებში პატარძეულში გაიმართა გიორგი ლეონიძის საიუბილეო სარაიონო კომისიის სხდომა.

საგარეჯოს რაიონისა და პატარძეულის თავკაცებმა ილაპარაკეს, როგორ აღნიშნავენ გიორგი ლეონიძის დაბადების 70 წლისთავს.

საუბარი იყო საქმიანი და დარბაისლური.

ითქვა რომ:

სახლში, სადაც დაიბადა და გაიზარდა პოეტი, მოეწყობა გიორგი ლეონიძის სახლ-მუზეუმი.

სოფელში დაიდგმება გოგლას ძეგლი.

მისი სახელი ეწოდება ცენტრალურ ქუჩას, სკოლას.

მგოსნის დაბადების 70 წლისთავის ზეიმი 24 მაისს პატარძეულში დაიწყება, მეორე დღეს თბილისში გადმოინაცვლებს და მერე მთელ საქართველოს მოედება.

ჯუმბერ ჯიქია

● მოკლედ

„ქართული ლექსის საღამო“

რუსთაველის სახელობის სახელმწიფო თეატრმა გადაწყვიტა ქართული პოეზია მთელი თავისი მრავალფეროვნებით წარმოადგინოს სცენაზე.

და აი უკვე გაიმართა „ქართული ლექსის“ პირველი საღამო — სცენაზე გაისმა რუსთაველის, დავით გურამიშვილის, ალექსანდრე ჭავჭავაძის, გრიგოლ ორბელიანის, ნიკოლოზ ბარათაშვილის, აკაკი წერეთლის, ილია ჭავჭავაძის, ვაჟა-ფშაველას, გალაკტიონ ტაბიძის, იოსებ გრიშაშვილის, გიორგი ლეონიძის, პაოლო იაშვილის, ტიციან ტაბიძის, სიმონ ჩიქოვანის, ირაკლი აბაშიძის, ლადო ასათიანის, გრიგოლ აბაშიძის, მირზა გელოვანის, მუხრან მაჭავარიანის ლექსები.

ლექსებს კითხულობდნენ სერგო ზაქარიაძე, სალომე ყანჩელი, მედეა ჯაფარიძე, გიორგი გეგეჭკორი, გურამ საღარაძე და სხვები.

ამ საღამოთი დაიწყო წარმოდგენათა მთელი წყება, რომელშიც თავის ადგილს დაიჭერს ყველა ქართველი პოეტი — ჩვენი წინაპარი თუ თანამედროვე.

მშვიდობისათვის მებრძოლს

გიორგი მდივანს კარგად იცნობენ მსოფლიოს ბევრ ქვეყანაში. ეს დაუღალავი, ძალზე ნაყოფიერი დრამატურგი თავის შემოქმედებით დიდად შეწყობს ხელს ხალხთა შორის მშვიდობის განმტკიცების საქმეს.

ამ დღეებში მოსკოვში გაიმართა მშვიდობის დაცვის საბჭოთა კომიტეტის აქტივის კრება. ამ კრებაზე გიორგი მდივანს გადაეცა მშვიდობის დაცვის საბჭოთა კომიტეტის ოქროს მედალი — „მშვიდობისათვის მებრძოლს“.

„სხივი“

ფოტომოყვარულთა თაროს შემატა ფოტობიულეტენი „სხივი“, რომელსაც საქართველოს დეპეშათა სააგენტო ორ თვეში ერთხელ გამოსცემს.

ბიულეტენის პირველ ნომერში მოთავსებულია ქართველი ფოტოოსტატების ნამუშევრები, რომლებშიც ასახულია რესპუბლიკის მშრომელთა საქმიანობა, ბოლო გვერდები დათმობილი აქვს ფოტომოყვარულთა შემოქმედებას.

ბიულეტენის მიზანია ფართო პროპაგანდა გაუწიოს ფოტოხელოვნებას.

100.000 ტირაჟით

გამომცემლობა „პრაგდამ“ გამოუშვა საქართველოს დამსახურებული მხატვარ-სატირიკოსის ნოდარ მალაზონიას კარიკატურების ახალი ალბომი ასიათასიანი ტირაჟით. წასში ქართველი სატირიკოსის ვრცელი შემოქმედებიდან მხოლოდ ნაწილია შესული, მაგრამ ესეც გარკვეულ წარმოდგენას იძლევა მხატვრის ოსტატობის თავისებურებაზე.

ცნობა ამერიკიდან

ახლახან სასიამოვნო ცნობა მოვიდა ამერიკიდან. საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის მართვის სისტემათა ინსტიტუტის დირექტორის მოადგილე, ტექნიკურ მეცნიერებათა დოქტორი ვახტანგ ჭიჭინაძე აირჩიეს ამერიკის ელექტროტექნიკისა და ელექტრონიკის ინჟინერთა ინსტიტუტის საპატიო წევრად. ეს ინსტიტუტი ერთ-ერთი დიდი საინჟინრო საზოგადოებაა მსოფლიოში. მისი წევრები არიან სხვადასხვა ქვეყნის გამოჩენილი მეცნიერები, რომლებიც ამუშავებენ გამოსათვლელი ტექნიკის თეორიისა და საშუალებების, მართვისა და ინფორმაციის თეორიის, რადიოტექნიკის, აერონავტიკისა და ასტრონავტიკის პრობლემებს.

გასტროლები ევროპაში

შოთა რუსთაველის სახელობის სახელმწიფო აკადემიური თეატრის დასი მაისში მიემგზავრება გერმანიის დემოკრატიულ რესპუბლიკასა და პოლონეთის სახალხო რესპუბლიკაში. საგასტროლოდ მზადების შესახებ ჩვენს კორესპონდენტს ესაუბრა თეატრის სამხატვრო ხელმძღვანელის მოადგილე სალიტერატურო დარგში — კარბა იმედაშვილი. გთავაზობთ ამ საუბარს.

— ჩვენი გასტროლების იდეა დაიბადა გერმანიაში ქართული კულტურის დღეებში, მაშინ როდესაც რუსთაველის თეატრის სამხატვრო ხელმძღვანელი და დირექტორი სერგო ზაქარიაძე შეხვდა იქაურ თეატრალურ მოღვაწეებს. გადაწყდა: რუსთაველის თეატრი სწვეოდა გერმანიას, ხოლო ბრეხტის თეატრი, რომელსაც ამჟამად ბრეხტის მეუღლე, ცნობილი მსახიობი ელენე ვაიგელი ხელმძღვანელობს, საქართველოში ჩამოსულიყო.

თეატრალურ მოღვაწეთა ეს საყურადღებო სურვილი საქმედ იქცა: და აი უკვე ვემზადებით საგასტროლოდ, მომავალ სეზონში კი გერმანელი თეატრალები გვესტუმრებიან.

ამას წინათ თბილისში იმყოფებოდა პოლონეთის თეატრალურ მოღვაწეთა დელეგაცია, მათ ნახეს ჩვენი სპექტაკლები: „სამანიშვილის დედინაცვალი“, „ფედრა“, მოეწონათ და პოლონეთში მიგვიწვიეს. მიწვევა კმაყოფილებით მივიღეთ.

გასტროლებს გერმანიაში დავიწყებთ. 15-დან 17 მაისამდე ვიქნებით დრეზდენში, 17-დან 20 მაისამდე ლაიფციგში, ხოლო 20 მაისიდან თვის ბოლომდე — ბერლინში. შემდეგ პოლონეთში გავემგზავრებით, 6 ივნისამდე სპექტაკლები გვექნება პოზნანში, ხოლო 6-დან 14 ივნისამდე — ვარშავაში.

ევროპელებს ვუჩვენებთ სულიკო ჟღენტის სპექტაკლ „მიწის შვილებს“, სულხან-საბა ორბელიანის „სიბრძნე სიცრუისას“, დავით კლდიაშვილის „სამანიშვილის დედინაცვალს“, ანუის „ანტიგონეს“. „11 სცენაში“ გაერთიანებულია სცენები სხვადასხვა სპექტაკლიდან. ეს დადგმა უფრო იმიტომ მიგვაქვს, რომ უცხოელებს უკეთ გავაცნოთ ჩვენი ყველა მსახიობი.

თეატრი ამჟამად მუშაობს საგასტროლო სპექტაკლების დახვეწაზე. განახლდა „ანტიგონე“, შეიცვალა „სამანიშვილის დედინაცვლის“ დეკორაცია. ტექსტუალურ ცვლილებას განიცდის „სიბრძნე-სიცრუისა“.

თეატრის მთელი დასი, როგორც იტყვიან, დილიდან საღამომდე მუშლჩაუხრელად მუშაობს. კარგად გვესმის ამ გასტროლების მნიშვნელობა. ყველაფერს ვაკეთებთ იმისათვის, რომ ევროპელ მაყურებელს შეექმნას სწორი, მაღალი აზრი ქართულ თეატრალურ ხელოვნებაზე.

გამოფენა — კონკურსი

თვითმოქმედ მხატვართა და სახალხო ხელმარჯვე ოსტატთა გამოყენებითი ხელოვნების გამოფენა-კონკურსი, რომელიც რამდენიმე დღეა სამხატვრო გალერეაში გაიხსნა, დიდძალ დამთვალიერებელს იზიდავს.

ორასამდე სახალხო ოსტატს — მუშას, კოლმეურნეს, მოსამსახურეს ათასზე მეტი ექსპონატი წარმოუდგენია აქ. ძალზე საინტერესოა თითოეული მათგანის გაცნობა. ამ გამოფენის საუკეთესო ნიმუშებს დამთვალიერებლებმა და სპეციალისტებმა სამართლიანად უწოდეს „თავანკარა ნაკადულები“. მართლაც რომ ნაკადულებია ეს ქმნილებანი, კამკამა წყაროები, რომლებიც ავსებენ ქართული ხელოვნების მდინარეებსა და ზღვებს, განსაზღვრავენ მის ეროვნულ თვითმყოფობას.

გთავაზობთ გამოფენის რამდენიმე ექსპონატის ფოტორეპროდუქციას.

სურათებზე: — ზემოდან — „ნატო ვაჩნაძე“ (ავტორი დავით ნავროზაშვილი), „მენ ხარ ვენახი“ (ქსნები ავთანდილ და ტარიელ მართაგაკები), „ნიკუშა კნუტით“ (ვახტანგ რურუა); ქვემოთ — გამოფენის ერთერთ დარბაზში.

ედუარდ გიგილაშვილის ფოტო









„საქართველოო ლამაზო“

თემურ ნაცვლიშვილის მუსიკა



თემურ ნაცვლიშვილმა თბილისის უნივერსიტეტის აღმოსავლეთმცოდნეობის ფაკულტეტი დაამთავრა. ამჟამად საქართველოს ტელევიზიის ახალგაზრდობისა და საბავშვო გადაცემათა მთავარი რედაქციის მთავარი რედაქტორია. მას იცნობენ როგორც კარგ ჟურნალისტს. მაგრამ ამასთან იგი მშვენიერი ლირიკული სიმღერების ავტორი და შემსრულებელიც არის. ცენტრალურმა ტელევიზიამ ჩვენს ტელევიზიასთან ერთად გადაიღო მხატვრული ფილმი „ჯვლავ მივლინებაში“, რომელშიც თემური მთავარ როლს — ბულგარელ მომღერალს ასახიერებდა.

დღეს „სამშობლოს„ მკითხველებს ვაცნობთ ანა კალანდაძის ტექსტზე ახლერებულ თემურ ნაცვლიშვილის სიმღერას „საქართველოო ლამაზო“, რომელიც ძალზე პოპულარულია ჩვენში. სიმღერა ნოტებზე გადაიტანა კომპოზიტორმა სანდრო მირიანაშვილმა.

წიგნის თარო

● დაიწყო ხელმოწერა „საქართველოს ისტორიის ნარკვევების“ რვატომეულზე, რომელიც გამოსაცემად მოამზადა საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის ივანე ჯავახიშვილის სახელობის ისტორიის, არქეოლოგიისა და ეთნოგრაფიის ინსტიტუტმა. ნარკვევები მიზნად ისახავს შეაჯამოს საქართველოს ისტორიის დარგში წლების მანძილზე გაწეული კვლევა-ძიება და წარმოუდგინოს მკითხველს საქართველოს მრავალსაუკუნოვანი ისტორიის მთლიანი სურათი.

● ქართველი მკითხველი მალე მიიღებს ალექსანდრე ქუთათელის თხზულებათა კრებულს ოთხ ტომად. I-II ტომში შეტანილია რომანი „პირისპირ“, III ტომში — მოთხრობები „აბესალომ და ეთერი“, „პროფესორი და პოეტი“, „ბუნების ძალა“ და სხვები. IV ტომი დაეთმობა ლექსებსა და წერილებს.

● „საბჭოთა საქართველო“ შეუდგა გრიგოლ აბაშიძის თხზულებათა კრებულის გამოცემას სამ ტომად. პირველ ტომში დაიბეჭდება ლექსები, პოემები („შავი ჭალაქის გაზაფხული“, „გიორგი მეექვსე“, „ძლევის ქედი“, „ზარზმის ზმანება“) და დრამატული ნაწარმოებები („მოგზაურობა სამ დროში“, „დედა“). II ტომში რომანები: „ლაშარელა“ და „დიდი ღამე“, მესამეში — რომანი „ყორნალი“ და მოთხრობები.

რედაქციისაგან: ჩვენს საზღვარგარეთელ თანამემამულეებს აღნიშნული წიგნები შეუძლიათ უსასყიდლოდ მიიღონ, თუ ამის შესახებ დროულად აცნობებენ უცხოეთში მცხოვრებ თანამემამულეებთან კულტურული კავშირის საქართველოს საზოგადოებას (თბილისი, პიონერის ქუჩა № 25).

მთვარის გალობა

● სულ ოციოდე წლის მანძილზე ქართულ სახვით ხელოვნებაში სერიოზული ხნული გაავლო ჩვენი დროის ოპიზართა მარჯვენამ და ამ ხნულს დღემდე ნედლი სურნელი დაჰკრავს...

ახალგაზრდა ქართველი მოქანდაკე კობა გურული შემოქმედთა იმ რიცხვს ეკუთვნის, რომელთაც ერთ-ერთმა პირველებმა აუბეს მხარი რესპუბლიკის დამხახურებულ მხატვარს ირაკლი ოჩიაურს მის მიერ აღორძინებულ და განვითარებულ ოქროსმჭანდაკებლობაში.




კომპოზიციებში „დრო“, „სინაზე“, „სურვილი“. პირველი — წყალქვეშა სამყაროს ცხოვრების განზოგადებული ასახვაა, ბოლო ორში ქალთა და მამაკაცთა სწრაფვაა დაპირისპირებული. ამ ორი კომპოზიციის სათავე ქართულ წარმართულ მოტივებში უნდა ვეძიოთ. „წარმართული ელფერი“ დაჰკრავს მზის მპყრობელი ქალის მოშვილდულ ფიგურასაც — იქნებ ეს ნაყოფიერების ქალღმერთი ნანაა, იქნებ ჩვეულებრივი ქალი, სიცოცხლის სათავე; კობამ იგი ჩვენი შორეული წინაპარივით გააიდეალა და ერთმანეთს გაუტოლა მზისა და ქალის ნაყოფიერების მადლი და ძალა.

სიბრძნე, სინაზე და ვნება ერთად დახადგურებულა სახელოსნოში, სადაც გააცოცხლა მხატვარმა პეტრე იბერისა და კირიონ ქართლის კათალიკოსის სახება, შოთა რუსთაველი და სულხან-საბა ორბელიანი, დღევანდელ ქართველ ოქროსმჭანდაკებელთა სულიერი წინაპრები — ბექა და ბეშქენ ოპიზრები, სადაც შექმნა მეფეთ-მეფის — თამარის ხატი...

ქართველ ოქროსმჭანდაკებელთა ქმნილებებმა მოიარეს მრავალი ქვეყანა, გამოფენა, დაამშვენეს არაერთი შენობის შიგა თუ გარეხედი. მაინც ყველაზე დიდი აღიარება და პატივი ხელოვნების ამ სახეობისა ის გახლავთ, რომ ორი თვალსაჩინო მოქანდაკის ირაკლი ოჩიაურისა და კობა გურულის ჰედურმა ფრესკებმა


კობა გურულისათვის დამახასიათებელია ექსპრესიულობაც და სიდარბაისლეც, არტისტულობაც და დრამატიზმიც, რითაც სრულყოფს თავის პლასტიკურ შესაძლებლობებსა და სათქმელს. ასეთია „მასპინძელი“ — ახალგაზრდა, გულმართალი კაცის კოლორიტული ბარელიეფი, ჩვენებური სტუმარ-მასპინძლობისა და სიდარბაისლის გამომხატველი, ასეთია შოთას თვალდახრილი პორტრეტი, რომლის ჭირთათმენა ჯვარცმულ ქრისტეს დრამატიზმამდე აღწევს... ასეთია „გოგონა ქარში“, „ავთანდილის სიმღერა“, „მედეას გატაცება“. ზღვაში შეჭრილ მედეას მშვილდ-ისარს უმიზნებს აიეტი, მათ





სურათებზე: მარცხნივ — კობა გურული თავის სახელოსნოში; ზევიდან ქვევით — კობა გურულის ჰედურობანი: „ღამით მაშვრალი“, „შენ ხარ ვენახი“ და „შოთა რუსთაველი“.

ედვარდ გიგილაშვილის ფოტო



შორის ღრუბლით დაჭრილი მზეა, მზე, რომელიც სამშობლოში დარჩა... ეს უკვე აღარ არის მშრალი ილუსტრაცია, ეს თავისებურად გააზრებული ვარიანტია ძველისძველი ლეგენდისა...

ზოგჯერ კომპოზიციის რიტმში, მეტყველ სტატიკურობაში („თამარის გამეფება“), მხატვრისათვის ჩვეულ მავედრებელ მდგომარეობაში („შენ ხარ ვენახი“, „რუსთაველი უდაბნოში“, „რუსთაველი თამარის ხატთან“, „ვეფხისტყაოსნის“ ყდა, „იმერული“) იგრძნობა დიდებულ ქართველ ფრესკებთან ნათესაობა, რაც კიდევ უფრო აძლიერებს ახალი ქართული ჰედური ხელოვნების ეროვნულ კოლორიტს.

...სიმშვიდე და სიამე გეუფლებათ კობას მუზის სამყაროში რომ მოხვდებით. ეს არ არის მოჩვენებითი გრძნობა, იგი მეორდება და ძლიერდება სოლმე.

...აანთებს კობა სანთლებს, ელოლიავება მკრთალი შუქი ქართველ დიონისოთა დამძიმებულ ქუთუთოებს, დედაშვილობის ტკივილ-სიხარულით აღსავსე ხატებს, სევდანარევ ქალწულებს... მინის ჭერში ჩამოიხედავს მთვარე და მთვარესავით ამოცურდება „მუმლი მუხასა“ და დავით აღმაშენებლის მიერ გამოთქმული „გალობანი სინანულისანი“...

...ქართული საგალობლებისა და ხალხური სიმღერების წიაღში კიდევ უფრო საცნაური ხდება კობას სულიერი ნათესაობა ქართულ წარმართულ მოტივებთან, ფრესკებთან, ბარელიეფებთან.

ნანა ღვინეფაძე



ერთი თვის წინათ ეს სახელოსნო ძალზე მოწყენილი ჩანდა; მძვალივით დარჩენილიყო კედელზე ერთადერთი ჰედური დეკორატიული მოტივი „კეთილი ობობა“. ახლახან კი ისევ დაბრუნდნენ თავის სამკვიდროში მხატვარი და მისი „მასპინძელი“, „პაპა ქვევრით“, „ღამით მაშვრალი“, „ნაყოფიერების დედა“, „პოეზია“, „მუზა“... დაბრუნდნენ მოსკოვის არქიტექტორთა სახლში გამართული პერსონალური გამოფენიდან, რომელიც საბჭოთა კავშირის მხატვართა კავშირმა საქართველოს დამსახურებულ მხატვარს კობა გურულს მოუწყო.

ათიოდე ნამუშევარი სრულიად ახალია და მათში მაძიებლის მოუსვენარი სული იგრძნობა. იაპონიაში მოგზაურობის შედეგად შექმნილი ჰედური ბარელიეფი „ხიროსიმას წეროები“, რომლის ჩაღრმავებულ ფონზე გამხდარი, გასაქცევად მომზადებული გოგონას ფიგურაა გამოკვეთილი. წეროები და ტალღები (იაპონური გრავიურების მიხედვით სტილიზებული) სიცოცხლის აღორძინების ალეგორიაა.

სიცოცხლის ლოგიკის, დროის მარადიულობის ფილოსოფიაა ჩაქსოვილი გემ „აჭარისათვის“ განკუთვნილ და ბარელიეფებმა ისევე სამუდამოდ დაიდეს ბინა ქართული ენციკლოპედიის შენობაში, როგორც სახლობენ საუკუნეების მანძილზე საოცნებო ფრესკები ყინწვისსა, ატენსა, ბეთანიასა, ბერთუბანსა თუ უბისში...

კობა გურული ყურადღებას იქცევს თავისი „უჯიათი“ მარჯვნით. ჰედის უკვე ტრადიციული სერხისა და დაფერვის პარალელურად მან მიაგნო საკუთარ გამომსახველობით საშუალებებს, რაც განსაკუთრებით გამოისატა წერტილოვანი და მადალი რელიეფური კვერვისა თუ ლითონისადმი ფერწერული მიდგომის პრინციპში.

მონუმენტური, კრებითი ბარელიეფის, პორტრეტების, დეკორატიული მოტივების გვერდით, საინტერესო ფორმაში აქცევს მხატვარი ჟანრულ თემებსაც. ქართული ხალხური სიმღერებისა და ყოფის კარნახით არის შექმნილი „მთების სიმღერა“, სვანი ვაჟკაცის ჩანგზე დახრილი ფიგურა, „ესროლა ბერმა პაპამა“ — ნადირობის ექსპრესიული სურათი, „შენ ხარ ვენახი“. შვილივით ნაზარდ ვაზთან ჩაჩოქილი ბერიკაცის იერი საოცრად ახლობელია ჩვენთვის. მის შინაარსს კარგად შეეპატყვისება შაბიამნისფრად დაფერილი ფონი.

29

გვახსოვდეს ჩვენი წარსული

მცხეთის ჯვარი

ვახტანგ ბერიძე
პროფესორი, საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის წევრ-კორესპონდენტი



მცხეთის ჯვარს განსაკუთრებული ადგილი უჭირავს ძველ ქართულ ხუროთმოძღვრებაში თავისი მხატვრული და ისტორიული მნიშვნელობით. მისი დაარსება ქართლის გაქრისტიანების პირველ ხანებს უკავშირდება; ამ ადგილას უკვე IV საუკუნის ოცდაათიანი წლებიდან, როცა ქართლში ქრისტიანობა სახელმწიფო სარწმუნოებად აღიარეს, აღმართული იყო ხის დიდი ჯვარი (ამიტომ ეწოდება ტაძარს ეს სახელი). ჯვარს თაყვანს სცემდნენ არა მარტო ქართველნი, არამედ მთელი კავკასიის ქრისტიანები.

VI საუკუნის მეორე ნახევარში, როცა ქრისტიანულმა სარწმუნოებამ ფესვი გაიდგა და ჯვრის თაყვანისსაცემად მისულ მლოცველთა რიცხვმა იმატა, ქართლის ერისმთავარმა გუარამმა ამ ჯვრის გვერდით ააგო მცირე ეკლესია. იგი დღემდეა შენახული დიდი ტაძრის გვერდით, ჩრდილოეთის მხარეს.

გავიდა ხანი და საჭირო გახდა ახალი, უფრო დიდი ტაძრის აგება, ეს ტაძარი ააგო გუარამის ძემ — სტეფანოზ ერისმთავარმა; მშენებლობაში მონაწილეობა მიუღია მის ძმას დემეტრეს და მემკვიდრეს ადრნერსეს. სამივე გამოსახულია ტაძრის აღმოსავლეთ ფასადზე. თუმცა აშენების თარიღი წარწერებში მითითებული არ არის, მაგრამ იქ მოხსენებულ პირთა მიხედვით თუ სხვა წერილობითი საბუთების შეჯერებით, გამოირკვა, რომ სტეფანოზს თავისი ტაძარი აუშენებია 586-87-სა და 604-605 წლებს შუა. ეს ის ხანაა, როცა ქართული ხუროთმოძღვრება მაღალ მხატვრულ დონეს აღწევს, როცა მთელ საქართველოში მრავალი ღირსშესანიშნავი ნაგებობა შენდება.

ჯვარი ძველი ქართული ხუროთმოძღვრების ბრწყინვალე ნიმუშია. მის პოპულარობას ხელს უწყობდა ძველ დედაქალაქთან სიახლოვე, იშვიათი სილამაზის მდებარეობა, განსაცვიფრებელი შეხამება გარემოსთან. თავისი ფორმებითა და მასშტაბით იგი ისეა შეზრდილი მთასთან, თითქოს მისი განუყოფელი ნაწილი იყოს.

სხვა ქართულ ძეგლებთან შედარებით, ჯვარი უკეთ გადაურჩა „ჟამთა სიავეს". თუმცა X საუკუნეში მას არაბებმა ცეცხლი გაუჩინეს, ზოგი რამ დაზიანდა, მაგრამ ტაძარმა მაინც შეინარჩუნა თავდაპირველი სახე, ხუროთმოძღვრული ფორმები, სამკაული, წარწერები. იგი დღესაც დიდებულ შთაბეჭდილებას ტოვებს მნახველზე, რა მანძილიდან და რომელი მხრიდანაც არ უნდა უყურებდე მას.

როგორც ყველა მნიშვნელოვანი ქართული ტაძარი (გამონაკლისს კახეთი წარმოადგენს, სადაც ტაძრებს ძირითადად რიყის ქვით აშენებდნენ), მცხეთის ჯვარი თლილი ქვით არის ნაშენი.

მცხეთის ჯვარი ეგრეთ წოდებული ტეტრაკონქის ტიპის გუმბათიანი ტაძარია (ასე ეწოდება ჯვრისებრი მოხაზულობის შენობას, რომელშიც ჯვრის ყოველი მკლავი ნახევარწრით მთავრდება). ჯვრის მკლავებს შორის, ყოველ კუთხეში თითო ოთახია. თითოეულ მათგანს თავისი დანიშნულება ჰქონდა.

სამანქანო გზით, რომელიც საქართველოს სამხედრო გზიდან მარჯვნივ უხვევს თბილისიდან მე-17 კილომეტრზე, მგზავრი ჩრდილოეთიდან უახლოვდება ტაძარს. შემოღობილ ეზოში პირველად იგი აღმოსავლეთის ფასადს მიადგება. აქ მის თვალწინ აღიმართება მარტივად დანაწევრებული, მოყვითალო ქვით მოპირკეთებული კედელი საკურთხევლის სამი სარკმლითა და მშენებელ ერისმთავართა სამი რელიეფური გამოსახულებით. შუაში ქრისტეს წინაშე მუხლმოდრეკილი სტეფანოზია, მარჯვნივ — ადრნერსე, მარცხნივ — დემეტრე. რელიეფების ჩარჩოში ასომთავრული ქართული წარწერებია ჩართული. ეს ქართული დამწერლობის მნიშვნელოვანი ადრინდელი ნიმუშებია. კიდევ ერთი ქართული წარწერა იყო დარჩენილი ეკლესიის შიგნით, ხის დიდი ჯვრის კვარცხლბეკზე (ეს ჯვარი, რომელიც წინათ ღია ცის ქვეშ იდგა, ეკლესიის აშენების შემდეგ მის შუაგულში, გუმბათის ქვეშ მოექცა). ამ წარწერაშიც, რომელიც 1938 წელს აღმოჩნდა, მოხსენებულნი არიან სტეფანოზ ერისმთავარი, დემეტრე და ანდრნერსე. აქ ნათქვამია, რომ ჯვარი აღიმართა ამ პირთა „სულთა და ხორცთა მეოხად". კვარცხლბეკის მეორე მხარეს გადარჩენილი იყო უფრო მოკლე სომხური წარწერის ფრაგმენტებიც. წარწერა აშკარად უფრო გვიანდელი ხანისაა, იგი შეიცავდა ჯვრისადმი მიმართულ ლოცვას, რომელიღაც პირთა სულის მოსახსენებლად. სომხური წარწერის გაჩენამ მცხეთის ჯვარში არ უნდა გაგვაკვირვოს, იმიტომ რომ ეს სახელგანთქმული ტაძარი ტრადიციულად იზიდავდა მორწმუნეებს მთელი ქრისტიანული კავკასიიდან, მიუხედავად იმისა, რომ სომხურმა ეკლესიამ, ქართულ-სომხური ეკლესიის გათიშვის შემდეგ, ოფიციალურად აუკრძალა სომეხ მორწმუნეებს ქართულ ეკლესიასთან ურთიერთობა.

განსაკუთრებულ მთლიანობას ანიჭებენ მთელ ფასადს სარკმლები, რელიეფები, მათი რიტმი და ურთიერთშეფარდება. შესასვლელები სამხრეთით და ჩრდილოეთითაა. სამხრეთის შესასვლელს ამკობს ანგელოზების მიერ ჯვრის ამაღლების გამოსახულება. ეს თემა გავრცელებული იყო ძველ ქრისტიანულ ხელოვნებაში. ქართველმა ოსტატმა იგი მარჯვედ გამოიყენა თავისი შენობისათვის. ამის ზემოთ ერისმთავრისავე ოჯახის წევრი ქობულ-სტეფანოზია გამოსახული, გუმბათის ყელზე კი მუხლმოდრეკილი კაცი — შესაძლებელია, თვითონ ხუროთმოძღვარი, რომლის სახელსაც, სამწუხაროდ, არ ვიცნობთ.

ჩრდილოეთის ფასადს, რომელსაც უფრო ადრე აშენებული მცირე ეკლესია ებჯინება და, მით უფრო, დასავლეთის ფასადს, რომელიც ზედ მიუდგომელი ციცაბო კლდის პირს არის, სამკაული არ გააჩნია.

თუმცა ტაძარი ძალიან დიდი არ არის (მისი სიმაღლე 25 მეტრს არ აღემატება), იგი გარედანაც და შიგნიდანაც მონუმენტურ შთაბეჭდილებას ტოვებს. მშვენივრად გათლილი ქვით მოპირკეთებული კედლების ფართო ზედაპირები თითქოს განსაკუთრებულ ძალას მატებს შენობას. მორთულობა ძუნწია, გამოზომილი, იგი მხოლოდ დამატებითი მახვილების როლს ასრულებს — ეს ადრინდელი ფეოდალური ხანის (IV-VII საუკუნეები) ქართული ხუროთმოძღვრების დამახასიათებელი ნიშნებია, რომლებიც მცხეთის ჯვარში მთელი სისრულით წარმოგვიდგება.

მცხეთის ჯვარში მნახველს აოცებს შენობის ცალკეულ ნაწილთა ჰარმონიული ურთიერთშეხამება, პროპორციების დახვეწილობა, შიგა სივრცისა და გარე სახის მხატვრული შესატყვისობა, მორთულობისა და არქიტექტურული ფორმების ბუნებრივი შერწყმა. აქ ხუროთმოძღვარს ყველაფერი ღრმად აქვს გააზრებული — მთლიანობაც და ყოველი წვრილმანიც, შენობის ყოველი მხარე და მისი ურთიერთობა გარემოსთან.

ტაძრის ეს ტიპი — კუთხისოთახებიანი ტეტრაკონქი — საქართველოში შემუშავდა. როგორც ხელოვნების ისტორიის ყოველი სხვა ფაქტი, როგორც ყოველი ისტორიული მოვლენა, იგი გარკვეული კანონზომიერებისა და აუცილებლობის ნაყოფია. მცხეთის ჯვარი ქართული ხუროთმოძღვრების წინა განვითარების ლოგიკური შედეგია და გვირგვინია: ამ განვითარებას შეგვიძლია თვალი გავადევნოთ რამდენიმე საუკუნის მანძილზე, საკუთრივ ამ ტიპის ჩამოყალიბებას კი — VI საუკუნეში (მაგალითად, ძველი გავაზის მცირე ეკლესია, სადაც ტეტრაკონქის უმარტივესი, ელემენტარული სახე გვაქვს, ნინოწმინდის საეპისკოპოსო ტაძარი, რომელიც შეიძლება განვიხილოთ როგორც მცხეთის ჯვრის უშუალო წინამორბედი და სხვა).

მეორე მხრივ, მცხეთის ჯვარი სათავეს უდებს მსგავსი ტაძრების მთელ რიგს, რომელიც VII საუკუნის პირველ ნახევარშია შექმნილი: მარტვილის (ჭყონდიდის) კათედრალი ოდიშში, ატენის სიონი ქართლში (გორთან), ძველი შუამთის დიდი ეკლესია კახეთში (თელავთან) და სხვა. ამგვარად, მცხეთის ჯვარს სწორედ ქართულ ნიადაგში აქვს გადგმული ფესვები, იგი ამ ნიადაგზეა ორგანულად აღმოცენებული. მხოლოდ უმეცართ და წინასწარ აკვიატებული აზრით შეპყრობილთ შეუძლიათ ეს საკითხი ეჭვის ქვეშ დააყენონ. ძველი წარწერების თვითნებური ინტერპრეტაციით ვერც ერთი „მეცნიერი" ვერ შეძლებს ისტორიის ლოგიკის დარღვევას და ეროვნული შემოქმედების ყველაზე დამახასიათებელი, შესანიშნავი ნაწარმოების მოგლეჯას მშობლიური ნიადაგიდან.

მცხეთის ჯვარი დიდი ხანია იპყრობს ქართველ მეცნიერთა ყურადღებას. მისი პირველი მეცნიერული გამოკვლევა ხელოვნების ისტორიის თვალსაზრისით ეკუთვნის გამოჩენილ ქართველ მეცნიერს გიორგი ჩუბინაშვილს, რომელმაც მას მთელი თავი უძღვნა 1936 წელს გამოცემულ „ქართული ხელოვნების ისტორიის" I ტომში.

მცხეთის ჯვრის შესახებ ამ ბოლო დროს მნიშვნელოვანი წერილები გამოაქვეყნეს პროფესორმა მარიკა ლორთქიფანიძემ, აწ განსვენებულმა ცნობილმა მეცნიერმა პროფესორმა ილია აბულაძემ (იხილეთ „მაცნე" — საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის საზოგადოებრივ მეცნიერებათა განყოფილების ორგანო, 1968, № 4), ჩვენმა თანამემამულემ, პარიზში მცხოვრებმა პროფესორმა კალისტრატე სალიამ (ჟურნალი „ბედი ქართლისა", 1969 წელი, № XXVI) და სხვებმა.

საგანგებო მონოგრაფიაში „ჯვრის ტიპის ძეგლები" გიორგი ჩუბინაშვილმა, ჯერ კიდევ 1948 წელს, ნათლად გამოავლინა მცხეთის ჯვრის დიდი მხატვრული ღირებულება, ღრმა ეროვნულობა, მისი ადგილი და მნიშვნელობა ქართული და წინააზიური ხუროთმოძღვრების განვითარებაში.


მხატვრულ-ხუროთმოძღვრული ანალიზით მან უცილობლად დაამტკიცა, რომ ამ ტიპის სხვა ძეგლები, რომლებიც ზემოთ მოვიყვანეთ, მცხეთის ჯვრის გავლენით არის შექმნილი; ხოლო ატენის სიონი, რომელიც უფრო მოგვიანო პერიოდს ეკუთვნის, მცხეთის ჯვრის გაუაზრებელი




განმეორებაა. რა თქმა უნდა, ამ ორი შენობის ავტორი არ შეიძლება ერთი და იგივე იყოს (როგორც ამას ამ ბოლო დროს ზოგიერთები „ამტკიცებენ"): ერთის შემქმნელი დამოუკიდებელი შემოქმედია, გენიოსი, რომელიც ახალ ფურცელს შლის ხელოვნების ისტორიაში, მეორისა — დამოუკიდებლობას მოკლებული კარგი ხელოსანია, რომელიც უკეთეს შემთხვევაში მხოლოდ მიბაძვას ახერხებს.

მცხეთის ჯვრიდან დიდებული სანახაობა იშლება. ბაქანზე გასულს, რომელიც ტაძრის ჩრდილო-დასავლეთ კუთხეს ეკვრის, თვალს მოგტაცებთ მცხეთა თავისი ისტორიული ნაშთებით (სვეტიცხოველი, სამთავრო, „ანტიოქიის მეტოქი"), ის ქედი, რომელზეც ძველი დედაციხე არმაზი მდებარეობდა, მტკვრისა და არაგვის ხეობები, ხოლო მაღალ მთაზე, ჯვრის ჩრდილოეთით — იოანე ზედაზნელის ძველი მონასტერი. ქვემოთ, ხელმარცხნივ ზაჰესია — საქართველოში აგებული პირველი დიდი ჰიდროელექტროსადგური.

• • •





სურათებზე: ვინ იცის, რა ფიქრებს შეუპყრია დიდი მწერალი კონსტანტინე გამსახურდია, იბერიის ძველ დედაქალაქს — მცხეთას რომ დაჰყურებს ზემოდან (სურათი შუაში). დიმიტრი მძინარიშვილის ფოტო.

ზევით — მცხეთის ჯვარი. ქვევით — ჯვარი ზაჰესიდან. მიხეილ კვირიკაშვილის ფოტო.

ზევით, მარჯვნივ — წარწერა ჯვრის კვარცხლბეკზე ტაძრის შიგნით. თანამედროვე დაწერილობით: „ესე ჯუარი მცხეთისაი შეიამკვით სალოცველად სტეფანოს პატრიკიოსისა, დემეტრე ვიპატოსისა, ადრნერსე ვიპატოსისა, სულთა და ხორცთა მათთა მეოხად ყოვლისა სახლისა მცველად".

ქართული ენა

კაკაკი გელოვანი

მე ვიცი ენა —
მრავალი ენა:
ყვავილთა ენა,
ფოთლების ენა,
ენა ღმერთების,
ენა ჩაგრულის,
ცეცხლის ენა და
ენა კაფრული,
ძველ ინდიელთა
ენა ზღაპრული,
ქნარის სიმღივით
დროში გაბმული.
მე ვიცი ენა,
ათასი ენა,
და ვარ მოვალე
ვიცოდე ყველა,
რადგან ეს არის
რაღაც დიადი,
და ერთიანი
მსოფლიო ენა,
საუკუნიდან
საუკუნემდე,
ქვეყნიდან ქვეყნად
რომ ვაბამთ ჩვენა
და საკუთარი

ბედივით გვინდა
მისი სიკეთე
და გადარჩენა.
საუკუნიდან
საუკუნემდე
ხალხიდან ხალხში
გაბმული სიმი
ეხმიანება
სატრფოს გულისთქმას,
არის შვება და
იმედის სხივი.
საუკუნიდან
საუკუნემდე
ებრძვიან ენას,
ერთიან ენას,
არსთა გულისთქმას,
სიცოცხლეს სვიანს,

ვულკანთა ქუხილს,
ტალღების შრიალს
ცეცხლით წვავენ და
მახვილით შლიან,
ის კი ფერფლიდან
დგება ხელახლა,
მისი ღირსება
ვერვინ შელახა.
ისმის მაღლიდან,
ისმის დაბლიდან,
ისმის აკვნიდან,
ისმის ზღაპრიდან...
კლდეზე წერია,
ქვაზე წერია,
ღურსმულად წერენ,
ბერძნულად წერენ,
წერენ ტალღები

კლდეზე ღარებად,
ციდან ჩამოდის
ნექტრის ღვარებად,
მაშვრალი ხალხის
გასახარებად
აგუგუნდება
დაფ-ნაღარებად,
აზრიალდება
ბრძოლის ზარებად...
მე არ ვაპირებ არავის წყენას,
მაგრამ როგორც კი მოხვდება
სმენას,
მყისვე ვგებულობ ყოველგვარ
ენას,

ჭირსა და ლხენას,
დარდსა და შვებას,
მთათა, მდელოთა,

წყაროთა ენას,
და მესმის აზრი
ფრინველთა ფრენის,
ფოთლის შრიალის,
მდინარის დენის,
მოხუცის, ბალღის,
შლეგის და ბრძენის, —
რადგან ეს არის კილოკავები
ცთომილის ჩვენის,
რაღაც დიადი,
საყოველთაო
მსოფლიო ენის...
მე არ ვაპირებ არავის წყენას,
ყოველი ენა მიხარებს სმენას,
და არ მივაწერ მოწყალე ზენას
ქმნილებას ჩვენსას,
არავის ვართმევ
თავ-თავის ენას,
ერების ლხენას!
მაგრამ იმ ენას,
იმ დედაენას
მე ჩემს ენაზე
ვეძახი ქართულს —
ყველაზე ლამაზ,
სრულყოფილ ენას!

ქართველი მეცნიერი ანტარქტიდაში

ანტარქტიდა — დედამიწის სამხრეთის უკიდურესი წერტილი, 150 წლის წინათ შეიტყო პირველად ჩვენმა პლანეტამ მისი არსებობა. დღეისათვის კი მარტო საბჭოთა კავშირიდან თხუთმეტმა სამეცნიერო ექსპედიციამ იმოგზაურა იქ, ორი ათას კაცზე მეტი ეწვია მარადიული ყინვის ქვეყანას. დღეს აღარ გვიკვირს, რომ ანტარქტიდაში ცხოვრობენ და მუშაობენ ადამიანები, რომლებიც ახალ-ახალი აღმოჩენებით ამდიდრებენ მეცნიერებას. ახლა ანტარქტიდაში 5 საბჭოთა სამეცნიერო სადგური მუშაობს.

ყინულთა სამეფოს შესწავლაში თავისი წვლილი შეაქვს ჩვენს თანამემამულესაც — ახალგაზრდა მეცნიერს თემურ გრიგოლაშვილს. საქართველოს პოლიტექნიკური ინსტიტუტის დამთავრების შემდეგ თემურმა ცოტა ხანს იმუშავა გეოფიზიკის სამეცნიერო-კვლევით ინსტიტუტში, საიდანაც სამეცნიერო მივლინებით მოსკოვში გაგზავნეს. აქ თემური დაუახლოვდა ანტარქტიდაში მომუშავეებს და სპეციალური სამედიცინო შემოწმების შემდეგ მე-15 ექსპედიციის წევრებთან ერთად სამხრეთ პოლუსზე გაემგზავრა.

ამ დღეებში შევხვდი თემურის შამას ხვითო გრიგოლაშვილს, რომელმაც ბევრი რამ მიამბო თავის ეროვნერთ შვილზე, წამიკითხა ანტარქტიდიდან გამოგზავნილი მისი ბარათები.

„ახლა, როცა ამ სტრიქონებს გწერთ, — ვკითხულობთ ერთერთ წერილში, — 24 დეკემბერია. ჩვენთან გაზაფხულია, ჰაერის ტემპერატურა კი მინუს 35-45 გრადუსია. გიკვირთ, არა? რა გაეწყობა, ეს ხომ დედამიწის ყინულოვანი კონტინენტია, სადაც განსაკუთრებით მკაცრი ჰავაა.

სადგური „ვოსტოკი“, სადაც მე ვმუშაობ, ანტარქტიდის ყველაზე სამხრეთი პოლუსის მოსაზღვრე პუნქტია. იგი ზღვის დონიდან 4500 მეტრზე მდებარეობს. ყინულის სისქე ახლანდელი აღრიცხვით 3597 ათას მეტრს აღწევს. ოცდაოთხი საათი დღეა. მარტის დასასრულს მზე დაიმალება და აგვისტოს ბოლომდე სულ პოლარული ღამეები იქნება, ჰაერის ტემპერატურა 80-87 გრადუსამდე დაეცემა. ასეთ ტემპერატურაზე ლითონი იფშვნება, ნავთი არ ინთება, თუნდაც მასში ანთებული ჩირაღდანი ჩადოთ. ჩაცმულობა სპეციალური გვაქვს, მაგრამ ძალიან ძნელდება სუნთქვა. წნევა დიდი სიმაღლის გამო ძალზე დაბალია: 400-450 მილიბარი, მაშინ როცა ნორმალური წნევა „დიდ მიწაზე“ 898-1000 მილიბარია.

აქ ძალზე დიდი სიფრთხილეა საჭირო. მკვეთრ მოძრაობებს ვერიდებით, სირბილი აკრძალულია, გარეთ მუშაობა 40 წუთზე მეტს არ შეიძლება. უჩაფხუტოდ სუნთქვა დაუშვებელია, თორემ ფილტვებს გაიყინავ“.

„ასეთი მძიმე პირობების მიუხედავად, — ვკითხულობთ თემურის მეორე წერილში, რომელიც 26 მარტს არის გამოგზავნილი, — ჩვენ ვეწევით პროგრამით დასახულ საინტერესო მეცნიერულ მუშაობას. ავაშენეთ და ექსპლუატაციაში შევიდა ჭაბურღილის დანადგარი, რომლის დახმარებით შევისწავლით თოვლისა და ყინულის ქიმიურ-ფიზიკურ თვისებებს. ჩვენმა აეროლოგებმა დაამყარეს არაჩვეულებრივი რეკორდი — 40 გრადუს ყინვაში გაუშვეს ზონდი, რომელიც 44 კილომეტრის სიმაღლეზე ავიდა.

დაკვირვებები წარმოებს მეტეოროლოგიის, აქტინომეტრიის ხაზით, პოლარულ ციალზე, დედამიწის მაგნიტურ და იონისფერულ ქარიშხალზე, რომლებსაც პოლარულ ოლქებში უდიდესი ძალა აქვთ. მე ვსწავლობ კოსმოსურ სხივებს.

აქ ბევრს ვაშენებთ. უკვე ავაშენეთ სამი სამეცნიერო ლაბორატორია, მძლავრი ელექტროსადგური, დადგმულია პელენგატორი თვითმფრინავების მისაღებად. გაიხსნა ახალი სამეცნიერო სადგური „ლენინგრადსკაია“.

გაივლის 1970 წელი და თემურ გრიგოლაშვილი დაუბრუნდება მშობლიურ თბილისს. ვინ იცის, კიდევ რამდენ საინტერესო ამბავს მოგვიყვება იგი ანტარქტიდის ულამაზესი და საიდუმლოებით მოცული კონტინენტის შესახებ.

ლარისა ტატიშვილი



„ოქროს ხელები“. ალექსანდრე საკოვის ფოტოეტიუდი

ახალი წიგნი

„სიკვდილის პირისპირ“ — ასე ეწოდება წიგნს რომელიც გამომცემლობა „ნაკადულმა“ რუბრიკით — „უშიშარი ადამიანების თავგადასავალი“ — გამოუშვა. წიგნში მკითხველი გაეცნო ქართველი კაცის, გიორგი გეგელიას ცხოვრების იმ მონაკვეთს, რომელიც მან სამშობლოდან დაშორებით, უცხოეთში გაატარა.

— სადაც უნდა ვყოფილიყავი, რა პირობებშიც უნდა ჩავვარდნილიყავი, მუდამ სამშობლოს ერთგული ვრჩებოდი, მიყვარდა მამული, რომელსაც სიცოცხლისა და ძალღონის დაუზოგავად ვემსახურებოდი. — ასე გიპასუხებთ ბატონი გიორგი, თუ მას უცხოეთში გატარებულ წლებზე ჩამოუგდებთ საუბარს. და მართლაც, როდესაც ამ წიგნს ფურცლავთ, თვალწინ იშლება კაცის ცხოვრება, რომელმაც თითქმის მეოთხედი საუკუნე გაატარა უცხო ქვეყანაში, და მუდამ სიყვარულისა და ერთგულების ძაფებით იყო დაკავშირებული მშობლიურ მიწა-წყალთან. გიორგის ხელში ტყვიამფრქვეც სჭერია, ცეცხლს რომ უშენდა შეტევაზე გადმოსულ გერმანელებს, და დიდი ხნის ტყვეობიდან დახსნილი თამარ მეფის ჯვარიც. ბრძოლაშიც და მუზეუმების სიმყუდროვეშიც იგი საქართველოს ერთგულ შვილად რჩებოდა.

ამ წიგნიდან გაიგებთ, რომ გიორგი გეგელია იმ ადამიანთა შორის არის, ვინც საფრანგეთმა უმაღლესი საბრძოლო ორდენებით დააჯილდოვა გერმანელ ოკუპანტებთან ბრძოლაში გამოჩენილი ვაჟკაცობისათვის, რომ იგი შეტანილი იყო ფაშისტური გესტაპოს შავ სიაში, როგორც დაუყოვნებლივ დასაპატიმრებელი და დასახვრეტი, რომ სწორედ გიორგი გეგელია გახლდათ საბჭოთა კავშირ-საფრანგეთის კომისიის მდივანი, რომელიც ორმხრივი მოლაპარაკების საფუძველზე შედგა 1944 წელს და რომელსაც 1921 წელს საქართველოდან წაღებულ ისტორიულ ფასეულობათა დაბრუნება ევალებოდა.

ექვთიმე თაყაიშვილის, შალვა ამირანაშვილისა და სხვათა მხარდამხარ გიორგი გეგელიას წილად ხვდა ბედნიერება შეეფუთა და სამშობლოში გამოეგზავნა ქართველი ხალხის კუთვნილი ოქრო და ვერცხლი, ზურმუხტი და ლალი, ყველა ფასეულობაზე უძვირფასესი ხელნაწერი პერგამენტები...

მას შემდეგ, რაც გიორგი გეგელიამ სიხარულით გამოაცილა საფრანგეთიდან ექვთიმე თაყაიშვილი, შალვა ამირანაშვილი და დელეგაციის სხვა წევრები, მასაც მალე ეწვია ბედნიერება და მშობლიურ მიწას დაადგა ფეხი.

წიგნის დასასრულ მკითხველი იგებს, რომ გიორგი გეგელია ახლა თბილისში ცხოვრობს და უცხო ენათა პედაგოგიურ ინსტიტუტში ფრანგული ენის მასწავლებელია.

გიორგი გეგელია შესანიშნავად ათავსებს სტუდენტი ახალგაზრდობის სწავლასა და აღზრდას, ხშირად კი

ჯყვიამფრქვევითა და ჯვრით

იმ ქარიშხლიან დღეებზეც უყვება, 70 წლის კაცს მრავლად რომ შეხვედრია ცხოვრების გზაზე.

გთავაზობთ ნაწყვეტს წიგნიდან „სიკვდილის პირისპირ“:

მდინარე ნ-ს მეორე ნაპირზე გადასულმა პოლკმა ხიდი ააფეთქა და ასეული მარტოდმარტო დარჩა მტრის პირისპირ, რომელიც რიცხობრივად ბევრად სჭარბობდა ერთ მუჭა, თავისთავზე მინდობილსა და თითქოს სასიკვდილოდ განწირულ მებრძოლებს.

სერჟანტ გეგელიას გვერდით სანგარში იწვა რიგითი ჯარისკაცი, მადაგასკარელი ნაკარანა.

— ბატონო სერჟანტო, ცურვა იცით? — ჰკითხა მან გიორგის.

— ვიცი.

— მეც კარგად ვცურავ, მოდით, გადავცუროთ მდინარე.

— კი მაგრამ, სხვებს რაღა მოვუხერხოთ? ბევრმა ცურვა არ იცის.

ჩვენთან ხომ კაპიტანი და თვით პოლკოვნიკი ომუატი არიან.

— აბა როგორ მოვიქცეთ?

— ისეთი რამ უნდა მოვიფიქროთ, რომ ყველანი გადავრჩეთ.

და გიორგი ასეულის მეთაურს, კაპიტან ვიქტორ ტიზონს მიუბრუნდა:

— ბატონო კაპიტანო, წინადადება მაქვს, მდინარეზე ბაგირით გადავიდეთ. მე და მადაგასკარელი გავცურავთ და ბაგირს მეორე ნაპირზე დავამაგრებთ.

— რა გაეწყობა, — მიუგო კაპიტანმა, — სხვა გამოსავალი არ არის, აქ თუ დავრჩით, სიკვდილი არ აგვცდება. ხომ იცით, უცხოელთა ლეგიონის ჯარისკაცები გერმანელებს ტყვედაც არ მიჰყავთ. ადგილზე ხვრეტენ.

სერჟანტმა გეგელიამ და რიგითმა ნაკარანამ ტანთ გაიხადეს, აიღეს ბაგირი და მდინარე გაცურეს. მერე დაბრუნდნენ და ბაგირის საშუალებით პირველ რიგში ტყვიამფრქვევი გადაიტანეს მეორე ნაპირზე. გიორგიმ დააყენა ტყვიამფრქვევი და მოწინააღმდეგეს ცეცხლი დაუშინა. გერმანელები აფორიაქდნენ, ამით ისარგებლა ასეულმა და მეორე ნაპირზე გადასვლას შეუდგა. გიორგიმ რამდენჯერმე გადაცურა მდინარე, რადგან გადაწყვეტილი ჰქონდა, არც ერთი ტყვიამფრქვევი არ დაეტოვებინა გერმანელებისათვის. მან ჯერ ქვესადგამებიდან მოხსნილი ტყვიამფრქვევები გადახიდა დასავლეთ სანაპიროზე, მერე კი — ქვესადგამები. მშვიდობიანად გადაიყვანეს პოლკის მეთაურიც, ფრანგი ბასკი, პოლკოვნიკი ომუატიც, რომელსაც ერთი წუთითაც არ მიუტოვებია თავისი მებრძოლები.

როცა გიორგიმ უკანასკნელად გადაცურა მდინარე, იგრძნო, რომ დაჭრილი იყო, მაგრამ საბედნიეროდ, ჭრილობა მსუბუქი აღმოჩნდა.

მდინარეზე გადასვლა მშვიდობიანად დამთავრდა. ამ საბრძოლო გმირობისათვის სერჟანტი გეგელია „ოქროს ვარსკვლავიანი ჯვრით“ დაჯილდოვეს.



ფეხბურთი

გრძელდება სსრ კავშირის პირველობა ფეხბურთში უმაღლესი ლიგის გუნდებს შორის.

სუსტად წარმართა გასვლითი მატჩები თბილისის „დინამომ“. მართალია, როგორც როსტოვში არმიელებთან, ისე დონეცკში „შახტიორთან“ თამაშისას ანგარიში ქართველმა ფეხბურთელებმა გახსნეს, მაგრამ წარმატება ვერ შეინარჩუნეს როსტოველებმა თავიანთ კარში მიღებულ ერთ ბურთს ორით უპასუხეს და თბილისის „დინამოს“ პირველი დამარცხება აგებეს. რაც შეეხება მატჩს დონეცკში, იგი ფრედ — 1:1 დამთავრდა.

აღსანიშნავია კიდევ ერთი დეტალი: დონეცკის „შახტიორთან“ თბილისის „დინამოს“ შემადგენლობაში ფეხბურთის მოყვარულებმა კვლავ იხილეს სახელოვანი მეკარე სერგო კოტრიკაძე. როგორც გახსოვთ, სულ ახლახან ვეტერან სპორტსმენეს ფეხბურთის გულშემატკივრებმა გულთბილი გაცილება მოუწყეს, მაგრამ მოხდა გათვალისწინებული შემთხვევა: ურუშაძემ, თბილისელთა ძირითადმა მეკარემ, ტრავმა მიიღო, მისი ღირსეული შემცვლელი კი ჯერჯერობით არა გვყავს. შეგობრების თხოვნას — კვლავ დაბრუნებულიყო მწვანე მინდორზე, სერგო კოტრიკაძე უყოყმანოდ დასთანხმდა. სპეციალისტებმა ერთხმად აღნიშნეს „შახტიორის“ წინააღმდეგ კოტრიკაძის ჩინებული თამაში.

დინამოელთა წარუმატებლობის ფონზე ერთგვარ ნუგეშს იძლევა ქუთაისის „ტორპედო“. ჯერ იყო და, ქუთაისელებმა მოსკოვის „დინამოსთან“ მოიპოვეს ერთი ქულა, შემდეგ ფარ-ხმალი დაყრევინეს მინსკის „დინამოს“ (1:0), ახლახან კი მოიგეს გასვლითი მატჩი ორჯონიკიძის „სპარტაკთან“.

ახლა სსრ კავშირის პირველობის გათამაშების ცხრილი ასე გამოიყურება: პირველ ადგილზეა კიევის „დინამო“, რომელმაც შვიდი თამაშიდან 11 ქულა მოაგროვა, მეორეზე — თბილისის „დინამო“ 7 თამაშიდან 10 ქულა.

ქუთაისის „ტორპედო“ 7 ქულით მეათე ადგილზეა.

ჩემპიონატის საუკეთესო ბომბარდირია სსრ კავშირის ნაკრების წევრი გივი ნოდია, რომლის ანგარიშზეც დღეისათვის 6 ბურთი მოდის.

კიდევ ერთი ცნობა ფეხბურთის მოყვარულთ: სსრ კავშირის ნაკრებში თბილისის „დინამოდან“ მიწვეულია ხუთი ფეხბურთელი — რევაზ ძოძუაშვილი, მურთაზ ხურცილავა, კახი ასათიანი, გივი ნოდია და სლავა მეტრეველი.

ჰიდკობა

იუგოსლავიის კლასიკური სტილის მოჭიდავეებს მთელ მსოფლიოში იცნობენ. სხვა რომ არაფერი ვთქვათ, იუგოსლაველთა გუნდმა შარშან ევროპის კონტინენტზე უძლიერესის სახელი მოიპოვა. და აი ასეთი მრისხანე მეტოქე საერთაშორისო მატჩის გასამართავად თბილისში ჩამოვიდა. ქართველ ფალავანთა სასახელოდ უნდა ითქვას, რომ მეტოქეს წარმატების არავითარი შანსი არ დაუტოვეს. თითქმის უველა წონითს კატეგორიაში ჩვენმა მოჭიდავეებმა იმარჯვეს. ცალკეული ბრძოლებიდან აღსანიშნავია ლეკვეიშვილის გამარჯვება ევროპის ჩემპიონსა და მსოფლიო ჩემპიონატის პრიზიორ დამინოვიჩთან შეხვედრაში.

თხილამურები

სპორტის დამსახურებული ოსტატი კობა წაქაძე საზღვარგარეთული ტურნედან დაბრუნების შემდეგ იუჟნო-სახალინსკში მიიწვიეს საერთაშორისო შეჯიბრებაში მონაწილეობისათვის, სადაც ძალებს ცდიდნენ სსრ კავშირისა და იაპონიის უძლიერესი „მფრინავი მოთხილამურეები“. გაიმარჯვა კობა წაქაძემ, რომლის საუკეთესო ნახტომი 88 მეტრი იყო.

შეჯიბრების დამთავრების შემდეგ, ჟურნალისტებთან საუბარში კობა წაქაძემ განაცხადა, განზრახული მაქვს დავტოვო აქტიური სპორტი და მთელი ჩემი გამოცდილება საქართველოს ტრამპლინიდან მხტომელთა აღზრდას მოვახმაროო.

ფრენბურთი

ესტონეთის ქალაქ ვილანდში სსრ კავშირის პირველობაზე გოგონათა შორის წარმატებით გამოვიდნენ თბილისელი ფრენბურთელები. ჩვენი რესპუბლიკის გუნდმა ერთნაირი ანგარიშით 3:0 დაამარცხა ლიტვა, ჩელიაბინსკის, მინსკისა და ცსკ-ს გუნდები, ანგარიშით 3:1 მოუგო ოდესელ თანატოლებს. ფინალში მათი მოწინააღმდეგე ლენინგრადელი ფრენბურთელები იყვნენ. შეუპოვარ ბრძოლაში ოქროს მედლები ლენინგრადელებს ხვდათ, თბილისელებმა მკერდი ვერცხლით დაიმშვენეს.

სროლა

თბილისის ავჭალის სახროლეთი ტყვიის მსროლელთა დიდი შეჯიბრების ასპარეზი გახდა. აქ მიმდინარეობს უძლიერესთა საკავშირო ტურნირი რსფსრ-ს, უკრაინის, ბელორუსიის, ლატვიის, უზბეკეთის, მოსკოვის, ლენინგრადისა და საქართველოს გუნდების მონაწილეობით.

ვაჟთა შორის მცირეკალიბრიანი პისტოლეტის სროლაში პირველი ადგილი დაისაკუთრა თბილისელმა ვლადიმერ სალუქვაძემ.

ხელბურთი

რუსთავში დამთავრდა საქართველოს მოსწავლეთა XXII სპარტაკიადის პროგრამით გათვალისწინებული ნახევარფინალური შეჯიბრება ხელბურთში.

გოგონებში პირველ ადგილზე გამოვიდნენ ფოთელები, მეორეზე არიან რუსთაველი ხელბურთელები, მესამე ადგილი წილად ხვდა ლანჩხუთის ნაკრებს.

ვაჟთა შორისაც პირველ ადგილზე ფოთელი ხელბურთელები აღმოჩნდნენ, მასპინძლები კი მეორე ადგილით დაკმაყოფილდნენ, მესამე საპრიზო ადგილზეა სამტრედიის გუნდი.

ჭადრაკი

დასასრულს უახლოვდება საქართველოს პირველობის გათამაშება ჭადრაკში ქალთა შორის. ათი ტურის შემდეგ რვა-რვა ქულით ლიდერობენ კახაბრიშვილი და სანაძე. ლიდერებს ნახევარი ქულით ჩამორჩება ჩიქობავა.

ჩოგბურთი

ჩოგბურთში იტალიის ღია ჩემპიონატში წარმატებას მიაღწია ქართველმა სტუდენტმა, ჩვენი ქვეყნის მრავალგზის ჩემპიონმა ალექსანდრე მეტრეველმა. პირველ ტურში მან დაამარცხა ფრანგი პროფესიონალი ჩოგბურთელი პიერ ბარტე — 10:8, 6:3, 6:2.

თბილისიდან მექსიკოში



შესანიშნავი ხუთეული გიგლა ფირცხალავას მეგობრული შარჟი

„ულვაშებიანი ჯენტლმენი“

ჩვენი სახელოვანი სპორტსმენი, საბჭოთა კალათბურთის სიამაყე ოთარ ქორქია მას შემდეგ, რაც თავი დაანება დიდ სპორტს, ახალგაზრდობის აღმზრდელი გახდა. ერთხანს თბილისის „დინამოს“ კალათბურთელებს ავარჯიშებდა, წვრთნიდა გუნდს, რომელიც მას და მის მეგობრებს არა ერთხელ აუყვანიათ გამარჯვების უმაღლეს კვარცხლბეკზე.

დღეს სპორტის დამსახურებული ოსტატი ოთარ ქორქია კამბოჯაში მუშაობს და „ოლიმპიკის“ კალათბურთის მოედანზე ავარჯიშებს ქსმერ ახალგაზრდებს.


„ულვაშებიანი ჯენტლმენი“, როგროც მას აქ ეძახიან, ძალ-ღონეს არ იშურებს, რომ მისი კამბოჯელი მოწაფეები საერთაშორისო სარბიელზე გავიდნენ.

დაუღალავმა შრომამ შედეგიც გამოიღო, როგორც პნომპენიდან სამეფო სამხატვრო უნივერსიტეტის პედაგოგი, მოქანდაკე გივი მიზანდარი იწერება, კამბოჯის ნაკრებმა ზედიზედ რამდენიმე საერთაშორისო შეხვედრა მოიგო. თუ ადრე ფილიპინებისა და კამბოჯის ნაკრების „დავა“ ყოველთვის ფილიპინელთა სასარგებლოდ მთავრდებოდა, შარშან შეხვედრა დიდი ანგარიშით კამბოჯელებმა მოიგეს.

კამბოჯა ტროპიკული ქვეყანაა, ძალზე ცხელა, სინესტეა. იქაური ჰავა ქართველი კაცისათვის ძნელი ასატანია, მაგრამ ოთარი მაინც ბევრს მუშაობს, ხშირად მოგზაურობს სხვადასხვა პროვინციაში ახალგაზრდა ნიჭიერი სპორტსმენების გამოსავლინებლად.

წარსულში საბჭოთა ნაკრების უცნელი კაპიტანი დღეს ქსმერი ხალხის ნამდვილი და გულწრფელი მეგობარია.

სახელოვანი ქართველი სპორტსმენები



არსენა

შინ მარტო დარჩა.

ვაჟიშვილმა დღე დღეზე დისერტაცია უნდა დაიცვას. რძალი ინსტიტუტს ამთავრებს. არსენამ და რუსუდანმა გადაწყვიტეს, შვილიშვილი — პატარა არსენა უყურადღებოდ დარჩენოდათ მშობლებს. მოითათბირეს და... ოჯახის დაასახლისი ერთი კვირის წინათ მოსკოვს გაფრინდა.

წასვლის წინ დედაკაცმა ათასგვარად დაარიგა მეუღლე. თავს გაუფრთხილდიო. ვენახს თავს ნუ შეაკლავ, ნება-ნება იმუშაველო. ისიც კი უთხრა, ღმე საბანი არ გადაეხადოსო. ამგვარ დარიგებაზე არსენა კეთილად იღიმებოდა ეს იყო და ეს. არ ამხელდა, თორემ შვილი, რძალი და განსაკუთრებით შვილიშვილი თვითონაც ძალზე ენატრებოდა. მაგრამ ახლა ათასი საქმე ჰქონდა. აუცილებელი და გადაუდებელი. ვენახში ყოველდღე სამუშაოა. „ბავშვთა სამყაროს“ არ ეღალატება. სულ ახლახან გაიხსნა ეს შესანიშნავი მაღაზია — დირექტორად რომ არსენა მიიწვიეს. პატარებისათვის გამოუსვლელად უნდა ჰქონდეს ტანსაცმელი და ფეხსაცმელი, სათამაშო და სასკოლო ნივთი. ბავშვთა სამყარო უსაზღვროა, განა ადვილია პატარა არსენას კბილა გოგო-ბიჭების ზღვა მოთხოვნათა დაკმაყოფილება?

პაპა შვილიშვილს პატარა კახს ეძახის. ეს ბიჭუკელა ქვეყანას ურჩევნია. მერე როგორი ბიჭია? ნამდვილი მეკოკეშვილი, ჯანმრთელი, ღონიერი, გულკეთილი, ჭკვიანი და მახვილი ენის პატრონი.

დიდ არსენას ძალზე მოეწატრა პატარა არსენა. მისი ხმის გაგონება მოუნდა. ყურმილი აიღო, მოსკოვთან ლაპარაკი შეუკვეთა.

მერე იქვე ჩამოჯდა და ზარს დაელოდა.

ზარამდე ფიქრები შემოეხვივნენ, შემოეხვივნენ და რა არ გაახსენეს...

მაშინ ჯერ პირტიტველა ყმაწვილი იყო.

გიორგიწმინდაში მეზობელი სოფლების ფალავნები ჩამოდიოდნენ, ღონე ერჩოდათ და სახელს ეძებდნენ.

თანასოფლელთა იმედი არსენა მეკოკეშვილი იყო.

— მიდი, არსენ! — ყიყინით ამხნევებდნენ და არსენაც მიდიოდა. ჯიქურ და შეუპოვრად. ვაჟკაცურად და ლამაზად. გიორგიწმინდელები კი ითვლიდნენ ლამაში ამოტრიალებულ ფალავნებს: ეს ერთი, ეს მეორე... ესეც მესამე...

გოლიათის ძალ-ღონე ჰქონდა, მგლის მუხლი, ჭორის თვალები, ირმის ხალისი და უველა, ვისაც ესმოდა ნამდვილი ჭიდაობის ფასი, მისი გულშემატკივარი იყო გიორგიწმინდაში და მერეც, როდესაც დიდ სარბიელზე გავიდა.

1934 წელს არსენა საქართველოს ჩემპიონი გახდა. ფალავნებით განთქმულ ქვეყანაში პირველი მოჭიდავის სახელი დაიმკვიდრა მძიმე წონაში.

ჭიდაობდა კლასიკური და თავისუფალი სტილით. ჭიდაობდა სამბოს და ყოველთვის ჩემპიონი იყო.

მსაჯებმა მრავალჯერ აღმართეს მისი გამარჯვებული მარჯვენა.

საბჭოთა კავშირის ჩემპიონობა ჩვიდმეტგზის მოიპოვა!

1952 წელი. ჰელინსკის ოლიმპიური ასპარეზობა. უნგრეთის ჩემპიონი კოვაჩი 6 წუთში გააკრა ხალიჩას. დაამარცხა გერმანელი ვალტნერი, დიდი ბრიტანეთის ჩემპიონი რიჩმონდი, იტალიის ჩემპიონი ვესხი.

ფინალში შეხვდნენ „ჩრდილოეთის გოგანტი“ შვედი ანტონსონი და „სამხრეთის ვეფხვი“ არსენა მეკოკეშვილი. ქართველმა ფალავანმა ქულების დიდი სხვაობით გაიმარჯვა და ოლიმპიური ასპარეზობის ჩემპიონი გახდა.

1953 წელი. ოლიმპიური ჩემპიონი ბუქარესტში მიიწვიეს მსოფლიო ფესტივალზე. აქაც საუკეთესო იყო და ოქროს მედალი მოიპოვა. იმავე წელს საერთაშორისო შეხვედრაში კვლავ დაამარცხა ანტონსონი — ამჯერად მისსავე სამშობლოში.

1954 წელი. ტოკიოში შეიკრიბნენ პლანეტის უძლიერესი მოჭიდავეები. ამომავალი მზის ქვეყანაში არსენა მსოფლიო ჩემპიონის კვარცხლბეკზე ავიდა.

1956 წელი. საბჭოთა კავშირის ხალხთა პირველი სპარტაკიადა. 45 წლის გოლიათმა უველა მეტოქე დაჯაბნა და მკერდი სპარტაკიადის ჩემპიონის ოქროს მედლით დაიმშვენა. შემდეგ... შემდეგ დადგა დრო და მოსახდენი მობდა — ჭიდაობას გამოეთხოვა და მშობლიურ სოფელს დაუბრუნდა.

მამა-პაპის სახლს მიუტრიალდა ბევრგან ნავალი, მრავალგზის გამარჯვებული ფალავანი. ახალი საქმეები გამოუჩნდა და ჩვეული ერთგულებით გაუძღვა.

უველასგან პატივცემულია და დაფასებული.

უფროსები პატარებს გადასცემენ, არსენა ძია ბეჭდაუდებელი ფალავანი იყოო.

...სიჩუმეში გაბმულად დაიწკრიალა ზარმა.

გიორგიწმინდიდან შორს, მოსკოვში, მეკოკეშვილების ოჯახში პატარა არსენა აყიყინდა.

— გენაცვ-ლოს პაპა, პატარა კახო, როგორ მყავხარ? — მოიკითხა დიდმა არსენამ.

— თვითონ როგორა ხარ? — ახლა შვილიშვილი შეეკითხა და მერე სარეკელასავით დააყარა: მე და ბებია ზეგ წამოვალთ, დედიკო და მამიკოც კარგად არიან, ერთი თვის შემდეგ ჩამოვლენ... ციკვი დამახვედრეო.

— რაო? — ვერ გაიგო პაპამ.

— ციკვი, ციკვი, ზედ უნდა შევჯდე და ვაჭენო.

— ჩემი თავი შემოგევლოს, შვილო. ისეთი კვიცი დაგახვედრო პატარა კახს რომ ეკადრებაო, — უთხრა პაპამ.

სითბოთი გაივსო მეკოკეშვილების სახლი.

აივანზე გამოვიდა. გადახედა მეკოკეიანთ, მარიდაანთ, ჭიაბრიანთ, გულისაანთ, კევლიაანთ უბნებს და იხე მოეწონა სოფელი, პირველად ხედავდა თითქოს.

ეზოში ჩავიდა, ბარი აიღო და ვენახის გზას გაუდგა. ანთოკში მეგულება კარგი კვიცი, ხვალ უნდა ავიდეო, ფიქრობდა და გამზრდელ მიწაზე მიაბიჯებდა. მიწაზე, რომელსაც არასოდეს შეხებია არსენას ბეჭები

ჯემალ ქურხული

საგარეჯოს რაიონი, სოფელი გიორგიწმინდა.

ქართული სამზარეულო

ნიგვზიანი მწვანე ლობიო

ხუთასი გრამი ახალი მწვანე ლობიო დაარჩიეთ, დაამტვრიეთ თითო სამად ან ოთხად, გარეცხეთ ცივ წყალში, ჩაყარეთ მდუღარეწყლიან ქვაბში, დაახურეთ ხუფი და ხარშეთ. მოხარშული ლობიო გადაიტანეთ თუშფალანგში, შეაგრილეთ და გაწურეთ. ნახევარი ჩაის ჭიქა ნიგოზი, ორი-სამი კბილი ნიორი, ორი ღერი ჭინძი, მარილი (გემოვნებით) კარგად დანაყეთ. ორი სუფრის კოვზი ლობიოს ხახარშ წვენში ან ცოტა ძმარში გახსენით დანაყილი ნიგოზი, დაუმატეთ წვრილად დაჭრილი ორი თავი ხახვი და შეურიეთ გამზადებულ მწვანე ლობიოს. მზა კერძი მოათავსეთ შესაფერ ჭურჭელზე, ზედაპირი მორთეთ მწვანილის პატარა ღერებით და მოასხით გამოხდილი კაკლის ზეთი.

ჩაქაფული

ვაბარა ნაჭრებად დაჭრილი, გარეცხილი ერთი კილოგრამი ბატკნის ხორცი მოათავსეთ ქვაბში, დაუმატეთ წვრილად დაჭრილი ხახვი, გემოვნებით მარილი, დაახურეთ ხუფი და ჩათუთქეთ. ხორცის ხარშვისას წვენი რომ არ შეაშრეს, ხანგამოშვებით დაუმატეთ ცოტა ადუღებული წყალი.

ხარშვის დასასრულს ჩაუმატეთ წვრილად დაჭრილი ექვსი-შვიდი ძირი ჭინძი, რვა ძირი ტარხუნა (Artemisia dracunculus). როცა ტარხუნა ჩაითუთქება, შეაზავეთ დანაყილი წიწაკით და ჩაყარეთ მთელ-მთელი ალუჩა ან ტყემალი. მზა კერძს დაუმატეთ წვრილად დაჭრილი ხუთი-ექვსი ძირი კამა (anethum graviolens) და ერთი-ორი წუთის შემდეგ გადმოდგით ცეცხლიდან.

მზა ჩაქაფულს წვენი ცოტა და მოსჭო უნდა ჰქონდეს.

გაზეთ „სამშობლოს“ რედაქცია უთანაგრძნობს სარედაქციო კოლეგიის წევრს შოთა მესხიას, დედის

ლიდა გიჟიას ასულ შენგელია-მესხიას

გარდაცვალების გამო.

„ფიროსმანი“ ფრანგულად

საფრანგეთში ფრანგულ ენაზე გამოვიდა ქართული სახვითი ხელოვნების ცნობილი მკვლევარის კირილე ზდანევიჩის წიგნი „ფიროსმანი“. ავტორი დიდი სიყვარულითა და სითბოთი მოგვითხრობს ხალხურ შემოქმედზე, რომელიც სიღარიბისა და გაჭირვების პირობებში, სამიკიტნოებში, ბნელ, ნესტიან სარდაფებში ქმნიდა თავის უბადლო ქმნილებებს ერთი სირჩა არყისა და მათლაფა კერძის სანაცვლოდ. კირილე ზდანევიჩს აღწერილი აქვს ფიროსმანაშვილის შედევრები — „ქეიფი მინდვრად“, „მეეზოვე“, „რთველი კახეთში“, „ნატურმორტი“, „თამარ მეფე“, „შოთა რუსთაველი“ და მრავალი სხვა.

წიგნი პოლიგრაფიულად კარგად არის გამოცემული და უხვად დასურათხატებულია.

სტრასბურგის უნივერსიტეტში

ბევრე წელიწადია, რაც საფრანგეთში, სტრასბურგის უნივერსიტეტში ქართული კულტურის ისტორიის კურსს კითხულობს და ქართულ ენას ასწავლის თბილისის უნივერსიტეტის კლასიკური ფილოლოგიის კათედრის დოცენტი ალექსანდრე ალექსიძე. იგი მიწვეია სლავური და საბჭოთა საკითხების შემსწავლელი ინსტიტუტის დირექტორმა პროფესორმა ტრიომფმა.

საუნივერსიტეტო კურსის გარდა, ალექსიძემ წაიკითხა საჯარო ლექციების ციკლი „ქართული ცივილიზაცია“.

სტრასბურგის უნივერსიტეტის ფილოლოგიის ფაკულტეტის დეკანი ლივე თბილისის უნივერსიტეტის რექტორის აკადემიკოს ილია ვეკუას სახელზე მოსულ წერილში აღნიშნავს, რომ „ბატონ ალექსიძის მისია სრული წარმატებით მიმდინარეობს“. ხაზგასმულია ის ინტერესი, რაც მისმა ფრანგულად წაკითხულმა საჯარო ლექციებმა გამოიწვიეს... „ლექციებს საილუსტრაციოდ ნაჩვენები დიაპოზიტივების შესანიშნავმა ხარისხმა და ავტორის მიერ გამართული ფრანგულით გაკეთებულმა კომენტარებმა დამსწრეთა პატივისცემა დაიმსახურა. გაზეთ „ელზასის უკანასკნელი ამბები“ დადებითად გამოეხმაურა ამ კულტურულ მოვლენას“. წერილში აღნიშნულია აგრეთვე, რომ ალექსიძის მეცადინეობით თანდათან ყალიბდება სტრასბურგის უნივერსიტეტში ქართული ბიბლიოთეკა.

„იმედი გვაქვს, გექნებათ შესაძლებლობა, კვლავ გამოგვიგზავნოთ იგი, რათა მან კიდევ უკეთ გავრცელოს ქართული კულტურა ჩვენს უნივერსიტეტში“, — ნათქვამია ბოლოს წერილში.


აღსანიშნავია, რომ ალექსიძე პარალელურად მიწვეულია დიუონის უნივერსიტეტში „ქართული ცივილიზაციის ისტორიაში“ ლექციების ციკლის წასაკითხად.



ფოტოს ხელოვანი. გივი კიკვაძის ფოტო.

კროსვორდი

ჰორიზონტალურად: 7. სვიმონ გუგუნავას ისტორიული პოემა. 9. ადგილი საბერძნეთში, სადაც მეათე საუკუნეში დაარსდა ქართული მონასტერი. 10. ევრიპიდეს ტრაგედია. 11. საერთაშორისო ხელშეკრულების შესავალი ნაწილი. 12. კლდეში ნაგები სამონასტრო კომპლექსი საქართველოში. 14. ცნობილი ქართველი კომპოზიტორი (გარდ. 1933 წ.). 15. ქალაქი და ნავსადგური საფრანგეთში. 17. გამოჩენილი უნგრელი კომპოზიტორი და პიანისტი (გარდ. 1886 წ.). 22. ადგილი, სადაც თამარ მეფის ლაშქარმა დაამარცხა სულტანის ჯარი 1205 წელს. 23. მაღალსართისხოვანი მინა. 24. ციხე-სიმაგრე თბილისის ჩრდილოეთით. 27. დამუხტული ატომიანი მოლეკულა. 28. მტაცებელი ფრინველი. 29 ფრანგი ქართველოლოგი (მეცხრამეტე საუკუნისა). 30. პლანეტა სატურნის ძველი ქართული სახელწოდება. 31. ცენტრალური კავკასიონის მწვერვალი. 32. ძველი ქართული მონასტერი საქართველოს სამხრეთში. 36. უცნობი ავტორი. 37. ზაქარია ფალიაშვილის ოპერა. 38. ერთ-ერთი ევროპელი ერი. 42. სამხრეთის ხვიარა მცენარე. 43. მოწითლო ძვირფასი ქვა. 45. ქართველი პოეტი და პოლიტიკური მოღვაწე (1750-1791). 48. საქართველოს ერთ-ერთი უძველესი ქალაქი.



50. ზღაპრულ თქმულებათა ერთობლიობა. 51. გარეული ფრინველი. 52. მეცხრამეტე საუკუნის დიდი ფრანგი მწერალი, რომანტიზმის წარმომადგენელი. 53. ქართველი მსახიობი, სსრ კავშირის სახალხო არტისტი.

ვერტიკალურად: 1. ქართული საკრავი. 2. რბილი ძვირფასი ტყავი. 3. ნაქალაქარი კახეთში. 4. ქვეყანა დასავლეთ ევროპაში. 5. ალექსანდრე მაჭავარიანის ბალეტი. 6. ქალის სახელი. 8. წარმომადგენლობითი ორგანოების მუშაობის პერიოდი. 13. მოკლე თეატრალური აფიშა. 14. მულტიპლიკაციური და ზღაპრულ-სათავგადასავლო ფილმების ცნობილი ამერიკელი რეჟისორი. 16. მდინარე საქართველოში. 17. თვალი პატიოსანი. 18. ვაჟა-ფშაველას პატრიოტული პოემა. 19. ქართველი მხატვარი. 20. ქართველი მომღერალი, სსრ კავშირის სახალხო არტისტი. 21. ქართველი რომანტიკოსი პოეტი (გარდ. 1883 წ.). 25. ხეხილი. 26. ქართული ჟურნალი. 31. ცნობილი ქართული ხალხური სიმღერა. 33. აღმოსავლეთ საქართველოს უძველესი სახელწოდება. 34. ქართველი ქალის სახელი. 35. ჭაობიანი ადგილის მცენარე. 39. სულხან ცინცაძის ნაწარმოები სიმებიანი კვარტეტისათვის. 40. დაბა სამხრეთ საქართველოში. 41. თბილისის ერთ-ერთი უბნის ძველი სახელწოდება. 44 მდინარე ინდოეთში. 46. თაყვანისცემა, გაღმერთება. 47. ქიმიური ელემენტი. 49. მდინარე ევროპაში.

შეადგინა სერგო გელაშვილმა

პასუხი

ჩვენი გაზეთის 1969 წლის 31 დეკემბრის ნომერში გამოქვეყნებული კროსვორდის პასუხი.

ჰორიზონტალურად: 3. შირაქი, 6. ჯვარი, 7. ურარტუ, 10. ალიანსი, 12. ახო, 14. ამირანი, 18. იზმირი, 20. რიონი, 21. სკივრი, 23. თასი, 24. გოია, 27. „ელისო“, 30. „ოდისეა“, 31. ტაბიძე, 32. მანდილი, 36. ოპიზარი, 38. გაგრა, 40. ზავი, 41. ალვა, 44. რიწა, 45. დაისი, 46. რუსო, 47. მაია, 49. პაპი, 50. ერა, 52. ბიზანტია, 53. „სამშობლო“, 54. შოუ, 56. დარიალი, 57. ონტარიო.

ვერტიკალურად: 1. ღვია, 2. „არგო“, 4. იალბუზი, 5. არაგვი, 8. აპრილი, 9. ტანკერი, 11. სირია, 13. ხიროსიმა, 15. მარსი, 16. ტარიელი, 17. საიგონი, 19. რთველი, 22. კაკაბი, 25. „ნორმა“, 26. დიანა, 28. სანაი, 29. მესია, 33. ღუვრი, 34. შანიძე, 35. ფრესკა, 37. პალმა, 19. შიწშილა, 40. ზამბახი, 42. არეზონა, 43. ასფალტი, 48. ანისი, 49. პიანო, 51. რკო, 54. შიო, 55. ურო.

მოუსმინეთ საქართველოს

მოისმინეთ რადიოგადაცემები ქართულ ენაზე ყოველი თვის მეორე და მეოთხე სამშაბათს 7 საათიდან 7 საათსა და 30 წუთამდე შუა ევროპის დროით: საშუალო ტალღაზე 227 მეტრი ან 1322 კილოჰერცი. მოკლე ტალღაზე — 30,83 მეტრი ან 9730 კილოჰერცი.

რადიო

გადაცემები ქართულ და აფხაზურ ენებზე შუა და ახლო აღმოსავლეთის ქვეყნებისათვის ყოველ კვირადღეს 17 საათსა და 45 წუთიდან 18 საათსა და 15 წუთამდე თბილისის დროით მოკლე ტალღაზე — 50,59 მეტრი ან 5930 კილოჰერცი.

დაგეძებენ, მოგველიან

დიომიდე არტემის ძე ანტონაშვილს,

დაბადებულს 1915 წელს მცხეთის რაიონის სოფელ მუხრანში, ეძებენ დედა — **ეკატერინე** და შვილი—**ზიზიკო (ელზა) ანტონაშვილ-შუბითიძე.** მცხოვრებნი ქალაქ თბილისში, კოტე მესხის ქუჩა № 40.

სერგო რაჟდენის ძე დიდიძეს,

დაბადებულს 1917 წელს დაბა მაიაკოვსკში, ეძებენ დედა — **ესმა,** ძმები — **გრიგოლ** და **ივანე,** დები—**ნანი, ელენე დიდიძეები,** მცხოვრებნი დაბა მაიაკოვსკში, მეგობრობის ქუჩა № 22.

დავით ალექსის ძე მუჯავანაძეს,

დაბადებულს 1910 წელს მაიაკოვსკის რაიონის სოფელ როზში, ეძებენ ძმა — **შალვა,** მეუღლე — **თამარი,** შვილები — **ნანა, ჯონი მუჯავანაძეები,** მცხოვრებნი ქუთაისში, ილია ჭავჭავაძის გამზირი № 29.

იოსებ (გუკულა) მიხეილის ძე გოჩალეიშვილს,

დაბადებულს 1917 წელს სამტრედიის რაიონის სოფელ ნაბაკევში, ეძებენ და—**ელენე გოჩალეიშვილი-ჯაკობია,** სიძე—**გრიშა ჯაკობია,** დისწულები — **ლუნა, ჯამბულ** და **ლორინა ჯაკობიები,** მცხოვრებნი ბორჯომში, ჩელუსკინელების ქუჩა № 20.

სეით ტარასის ძე აბესაძეს,

დაბადებულს 1919 წელს ტყიბულის რაიონის სოფელ კურსებში, ეძებენ მამა — **ტარასი,** მეუღლე — **ანიკო ფხაკაძე-აბესაძე,** შვილი — **დოდო აბესაძე,** მცხოვრებნი ქუთაისში, თბილისის ქუჩა, II შესახვევი № 11.

ბიძინა ერმილეს ძე ახვლედიანს,

დაბადებულს 1919 წელს ცაგერის რაიონის სოფელ ჩხუტელში, ეძებენ დედა—**ანა,** მამა—**ერმილე,** დები—**ნინო მუსელიანი, კატო ახვლედიანი, ლილი ჭომთაძე,** მცხოვრებნი ამბროლაურში, სტალინის ქუჩა № 17.

რედაქტორი

ვახტანგ ესვანჯია

ჩვენი მისამართია: გაზეთ „სამშობლოს“ რედაქცია — თბილისი, რუსთაველის გამზირი № 42. ტელეფონები: 93-68-44, 93-56-25

შცხოეთში მცხოვრებ თანამემამულეებთან კულტურული კავშირის საქართველოს საზოგადოება — თბილისი, გიორგი ათონელის ქუჩა № 25.

ინდექსი 66488

ფასი 5 კაპ.